# საერთო გაზეთი

№27 (619)
ოთხშაბათი
28 ივლისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.




ვახტანგ ხარჩილავა

## გამოცხადებული ტერორის ქრონიკა

ნუ გაგაოცებთ და ნუ გაგაკვირვებთ, რასაც ახლა ვამბობ: დიახ, „ნაციონალური მოძრაობა“ შინაური დამპყრობელია, მოძალადეა, რომელიც არჩევნე-ბისთვის კი არა, ქვეყნის დასაპყრობად ემზადება





კობა არაბული

## ამ მასონურ-სოდომური, სატანურ-სოროსული ჯოჯოებისგან ქვეყანა უეჭველად უნდა გაიწმინდოს!

ყველამ უნდა გაიგოს: ირაკლი ღარიბაშვილი არსად წავა, არც გადადგება და ვერც ვერავინ გადააყენებს - ის ქვეყანას ჭირდება და მას ქართველი ხალხი დაიცავს!





ზაზა შათირიშვილი

## ვინ ეტყვის ქართველებს – ნუ გეშინიათ, ჩვენ დევნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართ!

მთავარი დოგმა რა არის? – თვითგამოხატვა და ეგოს კულტივაცია. აქედან გამომდინარე, რა როლსაც ადრე ღმერთი და ეკლესია ასრულებდა, დღეს იგივეს ეგო და მასმედია, თვითგამოხატვა ასრულებს!





გელა ზედელაშვილი

## უნიჭო პერფორმანსი, ანუ ვირის უკანალში აყვავებული ბროწეულები

ჩემო არჩეულო ხელისუფლებავ, მთავრობავ, პარლამენტოვ და პრეზიდენტოვ, სანამ შერჩევითი სამართალი არ გაუქმდება ამ სახელმწიფოში, სანამ ერთნაირად არ ვაგებთ პასუხს ჩვენ და უჯიშო „ნაციონალები“, მანამდე არ შევწყვეტ ასეთი წერილების წერას!





გელა ნიკოლეიშვილი

## ასეთი ჟურნალისტები – მედიატერორისტები, თვითონ კლავენ ჟურნალისტიკას

რასაც „ნაცები“ აკეთებენ, ამას ნეკროფილია ჰქვია. ოღონდ, გვამი იყოს და ამ საცოდავი ადამიანების ცხედრებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ!





„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# გამოცხადებული ტერორის ქრონიკა

## ნუ გაგაოცებთ და ნუ გაგაკვირვებთ, რასაც ახლა ვამბობ: დიახ, „ნაციონალური მოძრაობა“ შინაური დამპყრობელია, შინაური ოკუპანტია, მოძალადეა, რომელიც არჩევნებისთვის კი არა, ქვეყნის დასაპყრობად ემზადება



**ვახტანგ ხარჩილავა:**

საარჩევნო მარათონი დაიწყო და უცებ გამოიკვეთა „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო ტაქტიკა და სტრატეგია — ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კამპანიის ნორმალურ და მშვიდ ვითარებაში ჩატარების საშუალება არ მისცენ.

ფაქტობრივად, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ტერორია გამოცხადებული ყველა მიმართულებით.

პროფესიონალი პროვოკატორების, დებოშიორების, ფსიქოლოგიურ ძალადობაში დატრენინგებული ე.წ. ჟურნალისტების ჯგუფები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს დევნიან და აბულინგებენ ყველგან — პარლამენტში და პარლამენტს გარეთ, სხვადასხვა სახის შეხვედრებზე, ქუჩაში, სადარბაზოში, სახლში.

„ქართულ ოცნებას“ დევნიან და აბულინგებენ „ნაცმოძრაობის“ კონტროლს დაქვემდებარებული ტელევიზიების ეკრანებიდან და ამ ხაზგასმული აგრესიის და ღია ტერორის ორგანიზატორებად ამ ტელევიზიების მეპატრონეები და მენეჯერები გვევლინებიან.

არსებობს ასეთი სამართლებრივი ტერმინი — პოლიტიკური დევნა.

რაც დღეს „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებაში ხდება, ეს არის ნამდვილი პოლიტიკური დევნის კლასიკური მაგალითი, თუმცა ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს ამ უმსგავსობისთვის დანაშაულის კვალიფიკაცია ჯერჯერობით არ მიუციათ.

„ნაცმოძრაობას“ და ოპოზიციას რომ ჰკითხო, ეს დანაშაული კი არა, კონსტიტუციით მინიჭებული და გარანტირებული სიტყვის თავისუფლებაა, გამოხატვის თავისუფლებაა, თუმცა კონსტიტუციაში არსად წერია, რომ ერთ პოლიტიკურ ჯგუფს უფლება აქვს, იძალადოს მეორე პოლიტიკურ ჯგუფზე.

ისმის კითხვა: სად მთავრდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და სად იწყება ხულიგნობა, ადამიანის შეურაცხყოფა, მისი ღირსების შელახვა, მიზანმიმართული დამცირება და ტალახის სროლა, რაც კანონით დასჯადია?

ისმის მეორე კითხვა: ხელისუფლებაში მყოფ პირს აქვს თმენის ვალდებულება, მაგრამ სად მთავრდება ეს თმენის ვალდებულება, რადგან არ შეიძლება ის სადღაც არ მთავრდებოდეს, სადღაც არ იყოს გავლებული წითელი ხაზი, რომლის იქით გადაბიჯება შენი მოწინააღმდეგის მხრიდან თმენის ვალდებულებისგან გათავისუფლებს.

გინახავთ, ალბათ, ასეთი სურათი: პარლამენტარს, მამისტოლა კაცს, მიკროფონებით „შეიარაღებული“ გოგო-ბიჭები მისდევენ და „ჩამჭრელ“ კითხვებს აყრიან: რატომ მოგვიკალით ჩვენი კოლეგა ლექსო ლაშქარავა? კითხვაზე რატომ არ გვპასუხობთ, მშიშარა ხართ? თქვენ დემაგოგი ხომ არ ხართ? რატომ გააყალბეთ არჩევნები? გავრილოვის ღამე თქვენ მოაწყვეთ? „ქართული ოცნება“ პუტინის დავალებებს ასრულებს? და ა. შ. და ა. შ.

პარლამენტარს გზას უღობავენ, ალყაში აქცევენ, მიკროფონებს პირში ჩრიან, გზის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ, მოკლედ რომ მოვჭრათ, ადამიანს თავისუფლებას უზღუდავენ, ფაქტობრივად, ტყვედ აჰყავთ, თუმცა, ვინმემ რამე რომ უთხრას ამ მოძალადეებს, მყისვე აქეთ შემოგიტრიალდებიან: ჩვენ ჩვენს ჟურნალისტურ მოვალეობას ვასრულებთ და ხელს ნუ გვიშლითო.

კი, მაგრამ, სად, რომელ კანონში წერია, რომ ჟურნალისტებს უფლება აქვთ, ადამიანებს შეურაცხყოფა მიაყენონ, ღირსება შეულახონ, გადაადგილების საშუალება არ მისცენ, თავისუფლება შეუზღუდონ?

აკრედიტებულ ჟურნალისტებს უფლება აქვთ, შევიდნენ პარლამენტში, დაესწრონ პარლამენტის სხდომებს, მოიპოვონ ინფორმაციები და გააშუქონ პარლამენტის მუშაობა, მაგრამ, რამდენად გამართლებულია (რამდენად კანონიერია), როცა ჟურნალისტები, თავიანთი ჟურნალისტური მოვალეობის პარალელურად, პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ და ისე იქცევიან, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები?!

ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, ვინაიდან ჟურნალისტები სარგებლობენ განსაკუთრებული სტატუსით, ხომ არ იყენებს რომელიღაც პოლიტიკური პარტია



მათ მოიერიშე ძალად და მათი დახმარებით ხომ არ აპირებს ახალი რევოლუციური ტალღის აგორებას, დეზორგანიზაციის და დესტაბილიზაციის გამოწვევას, სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის პარლამენტის, დასუსტებას და დემორალიზებას?

ეჭვიო, კი ვთქვით, მაგრამ რაღა ეჭვი — შექმნილ სიტუაციას რომ ვაკვირდებით, დადასტურებულ ფაქტად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ხელისუფლებას, **ქართულ სახელმწიფოს, ჟურნალისტების მანდატით აღჭურვილი ნაციონალები უტევენ.**

დიახ, ეს ჟურნალისტები თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ „ნაცმოძრაობის“ არალეგალურ წევრებად, მის ფარულ, იატაკქვეშა ორგანიზაციად, რომელიც „ნაცმოძრაობის“ მთავარი შტაბიდან იმართება.

თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ შევუწყვეტთ აკრედიტაციას ამ ფსევდოჟურნალისტებს, ამ შენიღბულ ნაცებს?

სრულიად გაუგებარია, რას აკეთებს და რას არეგულირებს მარეგულირებელი კომისია ბატონი ბექაურის ხელმძღვანელობით, რომელსაც რატომღაც შეუმჩნეველი რჩება სამი ტელეკომპანიის „მთავარის“, „ტვ-I-ის“, „ფორმულას“ აშკარად ანტისახელმწიფოებრივი, აშკარად მავნებლური და ძველ ტერმინს თუ ვიხმართ, აშკარად ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელსაც ეს ტელეკომპანიები მხოლოდ „ქართული ოცნების“ კი არა, მთელი საქართველოს წინააღმდეგ ეწევიან.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვინმე დაინტერესდა და ვინმემ დაიანგარიშა, რა ეკონომიკური და ფინანსური ზარალი მიადგა ქვეყანას ამ ტელეკომპანიების მიერ განხორციელებული არაერთი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, დივერსიული ქმედებების შედეგად?

**ვინმემ დაიანგარიშა, რამდენი ათეული მილიონით იზარალა საქართველომ ტელეკომპანია „მთავარის“ ეკრანზე მისი წამყვანის გიორგი გაბუნიას მიერ გაჟღერებული პროვოკაციის გამო, რომლის მიზანი რუსეთ-საქართველოს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება და უკიდურესი ესკალაცია იყო.**

რა მოჰყვა „მთავარის“ მიერ განხორციელებულ ამ პროვოკაციულ აქტს, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, აეღო კალკულატორი და ბუღალტრულად დაეანგარიშებინა, რა კოლოსალური ზიანი მიადგა ქვეყანას „მთავარის“ მიერ დაგეგმილი ამ მზაკვრული მავნებლობის წყალობით.

ზემოთნახსენები ეს სამი ტელევიზია თავდაუზოგავად მუშაობს იმისთვის, რომ უცხოელი ინვესტორები, ტურისტები, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები დაარწმუნოს, რომ საქართველო არასტაბილური, არასაიმედო სახელმწიფოა, სადაც ჰყავის კრიმინალი და კორუფცია, სასამართლო მართულია ხელისუფლების მიერ, სამართალდამცავი ორგანოები მხოლოდ ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებიან და ა. შ.

ნახეთ, ამ ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემები, ტელეშოუები, სიუჟეტები, „დოკუმენტური“ მასალები — ყველაფერი ემსახურება ერთ მთავარ მიზანს — რაც შეიძლება ნეგატიურ ფერებში წარმოაჩინოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

ეს ყველაფერი, ცხადია, „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტი ოპოზიციური პარტიების პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება, თუმცა ის ცდება მმართველი გუნდის ოპონირების ჩარჩოებს და მთლიანად, მთელ სახელმწიფოს არყევს და აზიანებს.

რაც დღეს ხდება, ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლა, ეს არაა პოლიტიკური დებატები პარტიებს შორის, ეს არის ერთი კრიმინალურ-ფაშისტური ორგანიზაციის, „ნაცმოძრაობის“, მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი შეტევა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხაზგასმით ვამბობ, არა მხოლოდ „ქართული ოცნების“, არამედ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

„ნაციონალური მოძრაობა“ ხელახლა ცდილობს საქართველოს დაპყრობას, საქართველოს ოკუპაციას, როგორც ეს ერთხელ უკვე გააკეთა 2003 წელს.

**ნუ გაგაოცებთ და ნუ გაგაკვირვებთ, რასაც ახლა ვამბობ: დიახ, „ნაციონალური მოძრაობა“ შინაური დამპყრობელია, შინაური ოკუპანტია, მოძალადეა, რომელიც არჩევნებისთვის კი არა, ქვეყნის დასაპყრობად ემზადება,** ხოლო ეს ტელევიზიები ამ დამპყრობელი და ოკუპანტი ძალის იდეოლოგიური დესანტია, მისი მეწინავე რაზმია. საქართველოს მთავრობამ, საქართველოს პარლამენტმა ეს შეფასება უნდა მისცეს ქვეყანაში შექმნილ უკიდურესად საშიშ და სახიფათო მოვლენებს, რომლებიც შეიძლება დიდ უბედურებაში გადაიზარდოს, თუ მისი დროული პრევენცია არ მოხდა.

საქართველოს ხელისუფლებამ, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების, ამერიკის კონგრესის, ევროკავშირის, კელი დეგნანის, შარლ მიშელისა თუ კარლ ჰარცელის გასაგონად, ხმამაღლა და გარკვევით, ნათლად და მკაფიოდ უნდა თქვას, რასთან გვაქვს საქმე



# ამ მასონურ-სოდომური, სატანურ-სოროსული ჯოჯოებისგან ქვეყანა უეჭველად უნდა გაიწმინდოს!

## ყველამ უნდა გაიგოს: ირაკლი ღარიბაშვილი არსად წავა, არც გადადგება და ვერც ვერავინ გადააყენებს – ის ქვეყანას ჭირდება და მას ქართველი ხალხი დაიცავს!



**კობა არაბული:**

ის, რაც საქართველოში ხდება, აღმაშფოთებელია — უცხოელები ერზე უზნეო, უტიფარი უმცირესობის ძალადობას ახალისებენ.

მწვანე შუქს უნთებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მართულ აგრესიულ-დანაშაულებრივ ჯგუფებს და ტელევიზიებს, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებენ ღიად და პირდაპირ.

ამ დროს წითელ შუქს უნთებენ სახელმწიფოს და კანონს დამნაშავეთა დასასჯელად.

უცხოელი ემისრები შიგნიდან და გარედან ახალისებენ ქართველი ერის ნებაზე უტიფარ ძალადობას და ტერორს.

უცხოელები გვახვევენ თავზე სიტყვისა და გამოხატვის ზღვარგადასულ „თავისუფლებას“, ახალისებენ ჟურნალისტად წოდებული „აგენტურის“ აგრესიას და ამით იწვევენ საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის აღშფოთების და აჯანყების პროვოცირებას.

უცხოელები, ფაქტობრივად, დევნიან ქვეყნისა და ერის ინტერესების დამცველ პატრიოტებს, უგულებელყოფენ საზოგადოების ელიტური კულტურული ფენის პოზიციებს, მათ აზრს.

უცხოელები უპირისპირდებიან იმ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებიც ცდილობენ ერის ისტორიული მორალის შენარჩუნებას. მათ იციან, რომ მორალი აწონასწორებს ქვეყანას, ამორალობა — ანგრევს. ჯუნგლებშიც კი არ ცხოვრობენ უმორალოდ.

უცხოელები ცდილობენ ჩვენი ქვეყნის მართვას ამორალური ქაოსით, მის დამორჩილებას და მათი ისტორიული ბუნების დანაშაულად გამოცხადებით დათრგუნვას.

უცხოელები (და მათი 30-ვერცხლიანი შინაური დამქაშები) ცდილობენ ქვეყნის სრულ ამორალურ არაბუნებრივ ლიბერალიზაციას, თავისუფლების ლობირებას ფსევდო-თავისუფლების სახელით.

ისინი გაათმაგებულ ზეწოლას ახდენენ დიდი ტრადიციების მქონე ქართველი რასის კულტურულ ფენომენზე, ვინაიდან მათ ხელს უშლის კულტურული ცივილიზაციის ისტორიული ბარიერი.

ამიტომაც ხდება სრულიად უნიჭო მედროვე მწერალთა, კულტურის მოღვაწეთა, უვიც და რენეგატ არასამთავრობოთა, პოლიტიკურ-ჟურნალისტურ კლონთა და კლანთა წახალისება, ფარული თუ ღია მხარდაჭერა.

უცხოელებმა უნდა გააცნობიერონ და იგრძნონ, რომ ქართველი ერი არ დათმობს ისტორიულ მორალს, ისტორიულ ვალდებულებებს, დიად მეფეთა და მწერალთა (რუსთაველის, აღმაშენებლის, გორგასალის, ვაჟა-ფშაველას, ილიას) ერთიანი ღვთიური (ზეარსული) მორალის სივრცეში, არ დაკარგავს საეკლესიო-საერო-მწიგნობრულ-პილიგრიმულ მისიას...

●

უცხოელები, უგნური ემისრები, რატომღაც მანიპულირებენ ქართველი ერის (ხალხის) ნებაზე და ცდილობენ მის წყობიდან გამოყვანას, აჯანყებას. ისინი იჭრიან ხის იმ ტოტს, რომელზეც „ზიან“ კავკასიაში და ასხამენ წყალს რუსულ წისქვილებზე. განსაკუთრებით, როცა ევრო-ატლანტიკური ინტერესების საპირწონედ ქართველებს უყენებენ „ელგებეტე“ თემის და „პრაიდ-პარადების“ თემას, თითქოსდა ტელეჟურნალისტების მიმართ „პროსკრიფციებს“.

აქვე სენტენციის სახით მკვეთრად და ცხადად მინდა ვთქვა: ჩვენ არა გვყავს სატელევიზიო ჟურნალისტები, გვყავს ერზე მოძალადე, ცილისმწამებელი, სიტყვიერი ტერორისტები. ჟურნალისტის ქურქში გახვეული ურელიგიო, უსქესო არსებები (სანაიები, გრიგოლიები, ტრაპაიძეები, გაბუნიები, მელაძეები, გვარამიები და მისთ.), რომლებიც აქეზებენ და წინ მიუძღვიან პოლიტიკურ მეძავთა ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ, ფაშისტურ-ლიბერასტულ სექტანტთა, ჰომოსექსუალ-ნარკომანთა და არასამთავრობოთა ერთიან ლაშქარს.



ჩვენ გვყავს ტელევიზიები, რომლებიც ებრძვიან საკუთარი ქვეყნის კულტურას და რელიგიას, ებრძვიან სახელმწიფოს (!!!), იწვევენ ქაოსს და ანარქიას და ხელისუფლებას უქმნიან განუწყვეტელ პრობლემებს.

უცხოელი ელჩებისა და კონსულების წაყრუებული თუ წაქეზებული, გარედან ჩანერგილი არასამთავრობოები, გუგულის ბუდეში ჩასხმული ყვავები და ოპოზიციურ პარტიათა ველური, პარლამენტის ღობეებზე და ტრიბუნებზე მხტომარე კასტა, ხელისუფლებას არ აძლევს სახელმწიფოს აღმშენებლობის საშუალებას, ამყოფებენ მუდმივ დაძაბულობაში.

კორონასაც კი ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებენ.

საზოგადოების აღშფოთებას

4 გვ. →











და მათთან შეთანხმებით, მათთან დათათბირებით, მათთან კონსულტაციებით უნდა მოძებნოს გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

გამოსავალი არის ერთადერთი — ხელისუფლებას უნდა მიეცეს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული წესრიგის დამყარების საშუალება.

აი, ეს არის ქართველი ხალხის უმთავრესი და უპირველესი მოთხოვნა.

**ქართველ ხალხში არც „ქართული ოცნების“, არც „ნაცმოძრაობის“ არც რომელიმე სხვა პარტიის მხარდამჭერებს ვგულისხმობთ მხოლოდ.**

**ქართველი ხალხი უფრო მეტია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერთა ერთობა.**

ქართველი ხალხი დაიღალა მუდმივი რყევებით, მუდმივი აგრესიით, მუდმივი პოლიტიკური ქიშპით და ძიძგილაობით, მას მშვიდობა და სტაბილურობა სურს, მშვიდობა და სტაბილურობა კი წესრიგის გარეშე შეუძლებელია.

წესრიგიო, რომ ვამბობთ, არც რეპრესიებისკენ მოვუწოდებთ ვინმეს, არც ავტორიტარიზმისკენ, არც დიქტატურისკენ.

კონსტიტუციურ ნორმებზე და კანონებზე დამყარებული წესრიგი თავის თავში გულისხმობს სიტყვის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, დემოკრატიას, რომლითაც უნდა აღიკვეთოს სიტყვის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების, დემოკრატიის ნიღბით შენიღბული ძალადობა და ფსიქოლოგიური ტერორი ადამიანებზე, პროვოკაციული და ავანტურისტული თავდასხმები სახელმწიფო ინსტიტუტებზე.

საქართველო დაიღალა სააკაშვილებით და ბოკერიებით, ადეიშვილებით და მერაბიშვილებით, ოქრუაშვილებით და უგულავებით, გვარამიებით და მელაძეებით, თარგამაძეებით და გრიგოლიებით, ამ ძალადმაცხონეებით, ამ ფარისევლებით და თვალთმაქცებით, რომლებიც თვალისდაუხამხამებლად გაწირავენ მთელ ქვეყანას, ოღონდ საკუთარი ეგოისტური ამბიციები დაიკმაყოფილონ.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, „ნაცმოძრაობის“ მხრიდან „ქართული ოცნების“ წინაღმდეგ ფართომასშტაბიანი ტერორია გამოცხადებული ყველა მიმართულებით, რითაც არა მხოლოდ „ქართული ოცნება“ არამედ, პირველყოვლისა, ქართული სახელმწიფო ზიანდება.

ამ ტერორს წერტილი უნდა დაესვას, სანამ ტერორისტები თვითონ არ დაუსვამენ წერტილს ქართული სახელმწიფოს არსებობას.

**ვახტანგ ხარჩილავა**

**P.S.** „ნაცმოძრაობა“ არჩევნებისთვის კი არა, არეულობისთვის რომ ემზადება, ეს კარგად ჩანს იმ კანდიდატების შერჩევაშიც, რომლებიც თბილისის მერობის და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტებზე იქნენ წარდგენილი. მამრობითი და მდედრობითი სქესის ორი „შტურმავიკი“, ორი გამოცდილი დებოშიორი — მელია და ხოშტარია, ცხადია, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც იგივეს გააკეთებენ, რასაც ადრე აკეთებდნენ და რაც ყველაზე კარგად იციან — შეიჭრებიან, შევარდებიან, დაარბევენ, იძალადებენ, პროვოკაციებს მოაწყობენ.

ესაა მათი პროფესია და ისინი სწორედ ამ პროფესიული ნიშნით არიან შერჩეულნი.

# ამ მასონურ-სოდომური, სატანურ-სოროსული ჯოჯოებისგან ქვეყანა უეჭველად უნდა გაიწმინდოს!

← 3 გვ.

იწვევს ის გარემოება, რომ მომიტინგე ოპოზიცია, პარლამენტარი პარტიები, ჟურნალისტები, ათასნაირად არღვევენ კანონს და სამართალს: შეურაცხყოფენ პოლიციას და ხელისუფალთ, მოქალაქეებს, პატრიარქს, პრემიერს. მათ არავინ და ვერავინ სჯის. მაშინ, როდესაც ჟურნალისტები ერთი წკიპურტისთვის „ნაკერავზე იხევიან“ და მოქალაქეებს სამართალში აძლევენ. რა ხდება, ვინ აძლევს მათ დაუსჯელობის ალიბს, ვინ იცავს? ასე ცხოვრობენ ამერიკა და ევროპა?!

ჩვენ სახელმწიფოს არა აქვს დასჯის უნარი, დასასჯელები თვითონ სჯიან მას. ის თუ არ „გამოიმუშავებს“ ამ უნარს და სათანადო კანონებს, თავის თავს დააბრალებს, რაც მოხდა თუ სხვა ვინმეს?



მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა აღიძრას ამ ტოტალურ დამნაშავეთა მიმართ ერთობლივი სარჩელი და დაედოს შესაბამისი სასჯელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ობსტრუქციისთვის, ხოლო პარლამენტმა მიიღოს შესაბამისი კანონები!

●

კვლავ პირველსავე სიტყვას მოვალთ და თემას გავაგრძელებთ: უცხოელი — ევრო-ამერიკელი უგნური პოლიტიკოსები, რატომღაც, ცდილობენ სახელმწიფოში ამორალური „მონსტრის“ შექმნას და ჩანერგვას არასამთავრობოებისა და ტელევიზიების სახით, რომ ამ „პანდორას ყუთებიდან“ განუწყვეტლად მოედინებოდეს ღვარძლი და სკეპსისი, იფრქვეოდეს მუდმივი „კორონარული ვირუსის“ ბაქტერია, რომ ამით შეილახოს მართალი და სამართლიანი ერის უმრავლესობის და ეკლესიის ღირსება, დაითრგუნოს მათი სულიერი ნება.

ამით უცხოეთი მხარს უჭერს უარყოფითი, შავი ენერგიების გაცოცხლებას და ერის სულიერი (ზნეობრივი) კოროზიის გაძლიერებას.

●

**ჩვენ, ქართველი ინტელიგენცია: მეცნიერები, მწერლები, შემოქმედებითი კავშირები, აკადემიები, მართლმადიდებელი საზოგადოება და მრევლი კატეგორიულად ვუპირისპირდებით ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ცრუ ბრალდებებს, უზნეო ისტერიას, წამოწყებულს მასონურ-სოროსული ჯოჯოების მიერ ჩვენი სატელევიზიო ბულდოგების უნისონში!**

ჩვენ ამ მასონურ-იეღოვური, სატანურ-სოროსული ჯოჯოებისგან უეჭველად გავწმენდთ საქართველოს.

ჩვენ კატეგორიულად ვუპირისპირდებით ქართველი ერის „კოლონიალიზაციას“, უცხოელთა ხელში ქვეყნის მართვის სადავეების გადაცემის, მათ მიერ ქართული სახელმწიფოს ხელისუფლების მიტაცების მცდელობას. ჩვენ გვირჩევნია, დავრჩეთ თუნდაც მშიერი, ოღონდ, მონური ვალდებულებების გარეშე!

ჩვენ ვუპირისპირდებით საქართველოს პრემიერის — ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ თითიდან გამოწოვილ ცრუ ისტერიებს — განსაკუთრებით კატეგორიულად მიუღებელია ტელე-ტერორისტების — სანაიას და გრიგოლიას ველური, ვულგარული გამოხტომები. გაუგონარია სატელევიზიო „ბომონდის“ გადაჯდომა პოლიტიკურ ტრიბუნებზე და პარლამენტში შეჭრა და ამის მოთმენა საზოგადოების და ხელისუფლების მიერ.

ეს არის ხელისუფლების ექსპროპრიაციის მცდელობა ვიღაც შარლატანების სასარგებლოდ, ანუ სახელმწიფოს მმართველობის გაუქმება.

ყველამ უნდა გაიგოს: ღარიბაშვილი არსად წავა, არც გადადგება და ვერც ვერავინ გადააყენებს! — ის ქვეყანას სჭირდება და მას ხალხი დაიცავს!




როდესაც ევროკავშირი ხულიგანი მელიას გამოხსნაში გირაოს იხდის და ხელისუფლებას რაღაცას საყვედურობს, ეს მართლაც გაუგებარი ნონსენსია!

საქართველოში დაიწყო თითქოს „ვეფხისტყაოსნისდროინდელი“ ბოზების აჯანყება. დააკვირდით, საკმაოდ სტაჟიანი და უნამუსო დიაცები მიუძღვიან ამ „პროცესიას“ ნაცისტ-ლიბერასტებთან ერთად — გაბახებული ჟურნალისტები და ნაჟურნალისტარი უდუმაშვილის ტიპის კრეტინები.

**P.S.** არ წამიკითხავს, ისტორიამ არ იცის მეძავების, კახპებისა და ნარკომანების აჯანყებით სახელმწიფო გადატრიალება.

არის რაღაც ამაში საგანგაშო და ნიშანდობლივი: ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა იქცა გარყვნილების ბუდედ, სოდომგომორის ქალაქად.

ეს „სოდომ-გომორი“ ახლა ერთიანად უპირისპირდება საქართველოს პრემიერს — ერთადერთ კაცს, რომელსაც რაღაცის გადარჩენა შეუძლია. მათ იციან, რომ მისი წასვლა ნიშნავს „ქართული ოცნების“ და მთავრობის ჩამოშლას.

ამ ნაძირალების ხროვას და მამათმავლების ქომაგ სანაიას უნდა, რომ მთელი საქართველო ციხეში იჯდეს.

●

სამწუხაროდ, ჟურნალისტებმა მთლიანად დაკარგეს ადამიანური სახე. მაგალითად, მელაძე ხომ რაღაც უზნეო ცხოველად იქცა, თუმცა მთლად უზნეო ცხოველიც არ არსებობს.

შეხედავ ქალს, გოგონას, მიკროფონით ხელში, შესაძლოა, ლამაზადაც გამოიყურებოდეს, ამოიღებს ხმას და მტრისას, — არავითარი კულტურა, არავითარი ზრდილობა, არავითარი ქალური ეთიკა.

არავინ იცის, საიდან მოჰყავთ ესენი, ვიღაცამ სრულიად გაუნათლებლებს, სრულიად უვიცებს ასწავლა საკუთარი ქვეყნის მტრობა. მისი კულტურის, მისი რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა და შეუსიეს ქვეყანას 30 ვერცხლად ნაყიდი ეს მანქურთები, საკუთარი ერის ღალატისთვის და ისტორიის გაყალბებისთვის.

მართალი სიტყვის ართქმა მათ უკვე თვისებად და პროფესიად ჩამოუყალიბდათ.

მიჰყვებიან, მისდევენ ან მიუძღვიან მიკროფონებით მიტინგებზე ჰომოსექსუალ-ლიბერასტებს, არასამთავრობოთა ჯუნგლების ბინადრებს, გადადიან სახლის ფანჯრებიდან და სახურავებიდან ლომჯარიას სანიფხვე დროშებით და უხარიათ, ხვლიკებივით მიძვრებიან პარლამენტში.

— სავალალო სურათია.

მათი პროტესტი მიმართულია ქართული კულტურის და ტრადიციული ცნობიერების წინააღმდეგ, ეკლესიისა და სახელმწიფოს დაშლისკენ.

მათ ნაკლებად აინტერესებთ ლაშქარავა და მისი სიკვდილის მიზეზი.

მათ მიიღეს „ტრუპი“, რომელსაც სააკაშვილი ითხოვდა „რუსთავი-2“-ზე, ოღონდაც ფეხმძიმე ქალის „შეწირვით“. ასეთია ამ ფაშისტი სატანისტების მორალი.

აქ რეზიუმეს სახით ვიტყვი: თუ მთავრობა და ხელისუფლება ამ მეძავების და ნარკომანლიბერასტების გადასაყენებელი გახდა, ის აღარც მთავრობაა და აღარც სახელმწიფო ყოფილა!

ამ დამპალი ჭაობის ბაყაყებს სახელმწიფოს მკვდარ ზონად ქცევა უნდათ და ჩვენ ამის ნებას არ მივცემთ!

ეს ავგიები ქართველი ერის წინააღმდეგ იწყებენ ტოტალურ ამორალურ ომს. ეს არის ქაჯებთან ომი.

ესენი ქართულ მორალს, ქართულ ადათ-წესებს, ქართული სულისა და მისი დამცველი გუშაგების ჩამწყვდევას ცდილობენ საპყრობილეებში.

ყველა ფეხზე უნდა დადგეს ქაჯებზე იერიშისთვის.

ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი!

ვფიქრობ, ეს დღეც დადგება!

●



დასასრულს მინდა მივმართო ეკლესიას და პატრიარქს, ყველა მღვდელმთავარს, ნათელმხილველ ბერებს, აგრეთვე კარატის ჯვარის ხუცესს (იმედა ლიქოკელს) და ლაშარის ჯვარის ხევისბერს (ლაზარე ელიზბარაშვილს), დაიწყონ ერთობლივი მასობრივი ლოცვა ამ სატანური ძალების დასათრგუნად და გასადევნად ქართული მიწიდან და ჰაერიდან.

ლაშარისა და კარატის ჯვარის მედროშეთ დაიწყონ ჟამის წირვა გზებისა და ჰაერის გაწმენდა საკრალური ლოცვებით ეშმაკეული ძალების გასადევნად.

როგორც მალაქია წინასწარმეტყველმა თავისი ლოცვებით ირლანდიიდან განდევნა გველები, ახლა ირლანდია ერთადერთი ქვეყანაა გველების გარეშე, იქნებ, ჩვენც შეგვაძლებინოს უფალმა სატანური ძალების დაძლევა.

ძველი იბერია, ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა, ერთადერთი შეიძლება იყოს დედამიწის ზურგზე, სადაც ეს სატანისტური სოდომ-გომორისეული ვნებანი დასრულდება, ერი არ დაუშვებს ამ ბიბლიურ ცოდვას და ამით მთელ სახელმწიფოში დამკვიდრდება სიმშვიდე, სიყვარული და კეთილგონიერება.

# ვინ ეტყვის ქართველებს – ნუ გეშინიათ, ჩვენ დევნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართ!



*გვესაუბრება ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:*

**— ზაზა, რას იტყვით კანონზე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელიც საქართველომ 2004 წელს მიიღო?**

— სანამ 2004 წელს სააკაშვილი ამ კანონს მიიღებდა, სხვათა შორის, შევარდნაძის დროსაც 1992–93 წლებში საკმაოდ ლიბერალური კანონი გვქონდა, უბრალოდ, მერე, ბოლო პერიოდში, უმცირესობების და ა.შ. უფლებები ჩაემატა. ბევრ ქვეყანაში, ეს ყველაფერი, უფრო რადიკალური ფორმითაც არსებობს. პრინციპში ტრენდიც ძალიან შეცვლილია. შეგიძლია სასამართლოში იჩივლო, თუმცა თავად უნდა ამტკიცო რომ ცილი დაგწამეს. საოცრება ხდება, დღეს ჟურნალისტი არის მღვდელი, ეს ცხადია. რა იყო სააკაშვილის მთავარი შეცდომა? — „იმედის“ დარბევა. ეს რომ არ გაეკეთებინა, ხმის ამომღები არავინ იყო. უბრალოდ, გაგვიმართლა, რომ „იმედი“ დაარბია, თორემ ჩამორჩენილი ადამიანების ხოცვა-ჟლეტა ხომ ჩვეულებრივად დაშვებული იყო. „იმედი“ გახლდათ რელიგია, თანამედროვე კულტი. „ნაცმოძრაობას“ რამდენჯერმე მოუვიდა ასეთი ფატალური შეცდომა, რაც „იმედთან“ დაკავშირებით დაუშვა. გავიხსენოთ, ფოტორეპორტიორების საქმე. მაშინ, ღმერთმა გადმოგვხედა. ჩვეულებრივი ადამიანი თუ ამოიღებს ხმას, მაშინვე დაიჭერ. ჟურნალისტი კი „ზეციური მანანაა“. დღეს ამ რეალობის წინაშე ვართ. აქვს თუ არა ამას რაიმე კავშირი რეალურ თავისუფლებასთან? — რა თქმა უნდა, არანაირი კავშირი ამას რეალურ ანუ, ჭეშმარიტ თავისუფლებასთან არ აქვს. ეს, უბრალოდ, ისეთი საზოგადოების თვითრეგულაციაა, რომელმაც უარი თქვა მეტაფიზიკურ საწყისებზე — საეკლესიო, ღვთაებრივ ლეგიტიმაციაზე, მონარქიაზე, ეკლესიაზე და ა.შ. მაგრამ რა თქმა უნდა, ეს ქვიშაზე აგებული რეგულაციაა, რომელიც საბოლოო ჯამში, წინააღმდეგობაში მოდის საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან და ბოლოს დგება მომენტი რასაც შეიძლება ლიბერალური პარადიგმის თვითლიკვიდაცია ვუწოდოთ. ანუ, ამას გარედან კი არ ანგრევს ვინმე, არამედ საკუთარი წინააღმდეგობების გამო, თავადვე იშლება შიგნიდან. აი, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი — ლიბერალურ პარადიგმას გარედან ვერავინ დაანგრევს. პირიქით, გარედან ნებისმიერი დარტყმა მათ აძლიერებთ. თვითონ იშლება თავისი შინაგანი წინააღმდეგობების გამო. ხდება მისი თვითგაშიშვლება. როგორც ანდერსენის ზღაპარშია — მეფე შიშველია. ისინი თვითონ ჭრიან იმ ტოტს, რომელზეც სხედან. აქედან გამომდინარე, საქართველოშიც ამ პროცესს ვხედავთ.

დასავლეთში ერთ-ერთი ძალიან სერიოზული თემაა მკრეხელობის რეგულაცია. რა არის მკრეხელობა? აქტუალური ხელოვნება, დავუშვათ, შარდში ჩადებული ხატი. ეს არის გამოხატვის თავისუფლება. ეს იგივეა, რაც ჟურნალისტიკის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, აქტუალური ხელოვანი არის როგორც მედია-მოღვაწე. იგი, ისეთივე მარტვილია, როგორც ქართველი ჟურნალისტი. ესენი თანამედროვე წმინდანები არიან. ანუ, წმინდა ძროხები. ეს იდიომაა, შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ. გეთანხმები, სხვა ქვეყნებში, ცილისწამება, დასჯადია, თუმცა პრობლემები იქაც არის. მაგალითად, გერმანიაშიც კი, სადაც დღემდე ერთ-ერთი საუკეთესო სამართალი აქვთ, გამოხატვის თავისუფლების კუთხით, კოლიზია ხდება. ოღონდ, ისევ ვიმეორებ: გააჩნია ვინ ლაპარაკობს. გამოხატვის თავისუფლებაც არის და გამოხატვის თავისუფლებაც. არის ასეთი მწერალი მარტინ ვალზერი, რომელიც სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარეს. მის ერთ-ერთ რომანში ამოიცნეს აწ გარდაცვლილი ებრაელი წარმოშობის გერმანელი კრიტიკოსი მარსელ რაიხ-რანიცკი ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპად, რომელიც წიგნში საკმაოდ ცუდად არის გამოყვანილი. მარტინ ვალზერის წინააღმდეგ კამპანია დაიწყეს, რომ ეს არის ანტისემიტიზმი, გესტაპო და ა.შ. ვალზერი ძალიან შეწუხდა. ბოლოს ვიღაცებს გააზსენდათ და თქვეს: ხალხო, ასე ნუ მოვექცევით, ბოლოსდაბოლოს, საბჭოთა კავშირში, თავის დროზე, ასეთი რამ მოხდა: იული დანიელი და ანდრეი სინიავსკი მხატვრული ნაწარმოების დაწერის გამო დაიჭირეს. ანუ, ისევ ვიმეორებ, გააჩნია ვინ ლაპარაკობს და სად გადის საკრალური. საკრალური არის ლგბტ, ჰოლოკოსტი. ამას აქვს თავისი მგრძნობიარე, საკრალური წერტილები. ანუ, ეს რელიგიაა.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამოცნობა — ვინ ვართ, სად ვართ, საკრალური რა არის. ნათქვამია: სადაც არის საუნჯე შენი, იქ, არის გული შენიო. აქედან გამომდინარე, როცა გამოხატვის თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ეს, რა თქმა უნდა, ფიქცია არ არის, არამედ გარკვეული ტიპის რეგულაციაა.

**— ზაზა, აქვე „შარლი ებდოში“ დატრიალებული ტრაგედიაც გავიხსენოთ. ხომ შეიძლება ვიღაცას ყელში ამოუვიდეს და რაც პარიზში მოხდა იმაზე უარესი, აქ, დატრიალდეს?**

— როცა „შარლი ებდოს“ გაუსწორდნენ, სწორედ იმ დროს გამოვიდა მიშელ უელბეკის რომანი „დამორჩილება“, სადაც აღწერილია: საფრანგეთში, 1922 წელს როგორ იმარჯვებს მაჰმადიანი პრეზიდენტი. რას გვეუბნება „შარლი ებდო“? — რომ ყველაფრის დესაკრალიზაცია შეიძლება, გარდა გარკვეული თემატიკისა. გავიხსენოთ, ალბერ კამიუს რომანი — „უცხო“. ვინ არის უცხო?





მერსო — ადამიანი, რომელსაც დედა უკვდება და საერთოდ ვერაფერს გრძნობს. ნახე, რა მოხდა — ტრადიციული საგვარტომო ურთიერთობების ამოვარდნა. აქედან გამომდინარე, მე, უკვე, ჩემი კულტურა აღარ მაქვს, ამ კულტურის ნაწილი აღარ ვარ. ანუ, დედის სიკვდილი არ მაწუხებს, ამას ვერ განვიცდი. აქედან გამომდინარე, ეს არის არა გვარ-ტომის და თანაგრძნობის, არამედ ტოლერანტობის საკითხი. ამ გაგებით, ყველა ადამიანი — ნებისმიერი უცხო არის ჩემიანი. ჩემიანი უკვე უცხოა. კამიუმ, ძირითადად, ექსტენციალური კავშირებისგან გაუცხოება აჩვენა. ნაწარმოების გმირი სრულიად შემთხვევით მოკლავს არაბს. რატომ? — იმიტომ, რომ ცხელოდა. მაშინ ჯერ კიდეც შეიძლებოდა რაღაც თემებზე ლაპარაკი. ეს ომის, ოკუპაციის პერიოდშია დაწერილი. დღეს, მერსოების საზოგადოებაა. ამ მერსოების საზოგადოებაში, ასევე, შესაძლებელია ახალი ანთროპოლოგია, რომელიც ხელოვნური ადამიანის შექმნას გულისხმობს.

არსებობს რელიგიები, სადაც ახალი ანთროპოლოგიური, გენდერული პოლიტიკისა და რელიგიის შერწყმა ხდება. ეს ნებისმიერი კულტურის, სულიერი ადამიანისთვის აბსოლუტურად უცხო რამ არის, რასაც არანაირი ექსტენციალური ღირებულება არ აქვს. თავისთავად, ეს ძალიან საინტერესო მომენტია. აქედან გამომდინარე, როგორც ორუელის „ფერმაშია“ ყველა თანაბარია, თუმცა, ზოგი უფრო თანაბარია, ვიდრე სხვები. ასე, რომ გამოხატვის თავისუფლება გარკვეული ტიპის რეგულაციებს ეყრდნობა, სადაც ყველას ერთნაირი უფლება არ აქვს.

**— ზაზა, მგონი, მიმბაძველობის იქეთ, ჩვენი საქმე არ მიდის. უკუღმა გააზრებული სიტყვის თავისუფლებით მორევში არ გადავიჩეხოთ?**

— არა, არა, ეს არ არის მიმბაძველობა. მიმეზისი და მიმბაძველობა ყველგან არის, მაგრამ მთავარი ეს კი არა, არამედ უნივერსალური გლობალური რელიგიაა, რასაც მე გნოსტიკურ მატერიალიზმს ვეძახი. დიახ, თანამედროვე ლიბერალიზმს ამ სახით, შეიძლება, გნოსტიკური მატერიალიზმი ვუწოდოთ, რომელიც აგებულია შემდეგზე: მთავარი დოგმა რა არის? — თვითგამოხატვა და ეგოს კულტივაცია. აქედან გამომდინარე, რა როლსაც ადრე ღმერთი და ეკლესია ასრულებდა, დღეს იგივეს ეგო და მასმედია, თვითგამოხატვა ასრულებს. ოღონდ, ვიმეორებ: ყველანაირი თვითგამოხატვა, არა. თუ შენ ისე გამოხატე თავი როგორც მარტინ ვალზერმა, ეს უკვე თვითგამოხატვა კი აღარ არის, არამედ მკრეხელობაა.

2016 წლიდან წამოვიდა ახალი ტრენდი, რაც გამოიხატა იმით, რომ აშშ-ში, ბრიტანეთში, ანუ, იქ, სადაც ლიბერალური ტრენდი იშვა და დაიბადა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ლიბერალური პარტიების სრული ფიასკო მოხდა. გავიხსენოთ ბორის ჯონსონის 25 დეკემბრის სიტყვა, სადაც პირდაპირ თქვა: ჩვენ, დევნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართო.

დემოკრატებს და კერძოდ, ჰილარი კლინტონს ჰქონდათ ასეთი მოსაზრება: თავისუფლებისა და თვითგამოხატვის სახელით, საჯარო სივრციდან, მაქსიმალურად, იდევნებოდა რელიგია და რელიგიური დისკურსი.

ტრამპმა რა გააკეთა? — გააუქმა კანონი, რომელიც გულისხმობდა შემდეგს: რელიგიურ პირს არჩევნების პერიოდში აქტიური პროპაგანდა არ შეეძლო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ახალი რეგულაციით რელიგიურ პირს უფლება აქვს თავის მრევლს მოუწოდოს ხმა მისცეს ამა თუ იმ კანდიდატს. პირდაპირ, ქადაგებაშიც აქვს უფლება პოლიტიკური მოწოდებისა და ფაქტობრივად, საარჩევნო რეკლამის.

**— სად გადის წითელი ხაზები, რათა გამოხატვის თავისუფლება მონსტრად არ გადაიქცეს?**

— რა არის თავისუფლება? სახეზეა, თავისუფლების, აბსოლუტურად, არასწორი გაგება. ჯერ ერთი, თავისუფლება აბსოლუტური კი არა, არამედ რელატიური კატეგორიაა შემდეგი თვალსაზრისით: შეიცანით ჭეშმარიტება და იგი თქვენ, გაგათავისუფლებთ. თავისუფლება ჭეშმარიტების გარეშე, მონსტრია. მას ასეთი ღირებულება არ აქვს. თანამედროვე სიტუაციაში ჩვენ თავისუფლების ხატს ჭეშმარიტების გარეშე გვთავაზობენ, ანუ, ეს არის დოსტოევსკის „ეშმაკნი“, მეორე მხარეს — ჭეშმარიტება თავისუფლების გარეშე ანუ, იგივე, დოსტოევსკი, ოღონდ „დიდი ინკვიზიტორი“. ქრისტიანობა გვეუბნება: ჭეშმარიტებაც და თავისუფლებაცო — შეიცანი ჭეშმარიტება და იგი გაგათავისუფლებს. ანუ, თავისუფლება ნეგატიური კატეგორიაა და არა პოზიტიური. თავისუფლების პოზიტიური გაგება არ არსებობს. იგი ნეგატიურია — რაღაცისგან ხდება გათავისუფლება. ასე, რომ უფლებები კარგად უნდა გადაიხედოს. ჩვენ გვაქვს არა უფლებები, არამედ მოვალეობები. აქედან გამომდინარე, ამის გადახედვა მაშინ მოხდება, როცა ეს პარადიგმა ბოლომდე დაინგრევა. ჩვენ სწორედ ამ ბინდ-ბუნდში ვართ.

„სგ“ N6 2020 წ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



*რედაქციისაგან:*

**ეს ინტერვიუ ერთი წლის წინათ გამოქვეყნდა „საერთო გაზეთში“. ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო გამოიკვეთა ის ტენდენცია, რაზეც ბატონი ზაზა საუბრობს ინტერვიუში — თვითგამოხატვა და ეგოს კულტივაცია, ფაქტობრივად, ახალ რელიგიად იქცა, რომელიც ცდილობს ღმერთს და ეკლესიას ჩაენაცვლოს.**

**სწორედ ეს „ახალი რელიგია“ ებრძვის და დევნის საქართველოში ქრისტიანობას და იმ ღირებულებებს, რაზეც დგას ქართველი ერის იდენტობა.**

**ვინ დადგება ამ ბრძოლაში ქართველების გვერდით და ვინ იტყვის ბორის ჯონსონის მსგავსად: ჩვენ დევნილი ქრისტიანების გვერდით ვდგავართ!**

# ფერადი რევოლუციების ანატომია და საერთაშორისო მასშტაბის ყაჩაღები

ყველასთვის ცნობილია, რა მოხდა 2003 წლის ნოემბრის ბოლოს: არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, მიხეილ სააკაშვილმა, ნინო ბურჯანაძესთან, ზურაბ ჟვანიასთან და სხვებთან ერთად შევარდნაძე პოსტიდან ძალის გამოყენებით გააძევეს, შევარდნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და სკამებზე და მაგიდებზე მაიმუნებივით სტუნვა-ღრიალი მორთეს.

რევანშისტებმა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები დაიკავეს და დაიწყეს ძველი კადრების დევნა, დაჭერები და მკვლელობები.

შესაძლოა, იყო კიდევაც შევარდნაძის ხელისუფლება კორუმპირებული, მოძველებული და მანკიერი, მაგრამ ხელისუფლების ცვლილება სახელმწიფო გადატრიალებებით რომ არ უნდა ხდებოდეს, ამას რომ სავალალო შედეგები მოაქვს, ეს უბრალო ანაბანაა და დიდ მსჯელობებს, მგონი, არ საჭიროებს.



არავისთვის არ არის უცხო, რომ რევოლუცია, რომელიც მოხდა 2003 წელს, არ მომხდარა ქართველი ხალხის ნებით და სურვილით, მასშტაბები, რომლებიც მოიცავს მსოფლიოში რევოლუციების კულტივაციას, პირდაპირ გამაოგნებელია.

რევოლუციების მამები გეგმავენ ჩვენს ცხოვრებას და მომავალს თავიანთი ინტერესების შესაბამისად და ამაში ავანტურისტულ, ზოგჯერ საკუთარი ქვეყნის გამყიდველ, ზოგჯერ კი ბრიყვ აქტორებს იყენებენ, რომლებიც შემდეგ თავიანთ თავს პატრიოტ რევოლუციონერებს უწოდებენ.

* * *

2001 წლის ოქტომბერში სლობოდან მილოშევიჩი სერბეთის მმართველობიდან გადააყენეს.

ეს იყო პირველი გრანდიოზული რევოლუცია ე.წ. ფერადი რევოლუციების სერიაში.

შემდეგ დადგა საქართველოს ჯერიც.

2003 წლის ნოემბრის ბოლოს საქართველოში მოხდა „ვარდების რევოლუცია“.

2004 წელს უკრაინაში მოხდა დიდი სახელისუფლო გადატრიალება და იუშჩენკო მოვიდა ხელისუფლებაში.

2005 წელს ყირგიზეთში მოხდა ტიტების რევოლუცია.

თითოეული ამ „რევოლუციის“ განხორციელებისას თამაშდებოდა ერთი და იგივე სცენარი — ძალის გამოყენების გარეშე იცვლებოდა ხელისუფლებები, რომლებიც, ასე ვთქვათ, უკანასკნელი გადმონაშთები იყვნენ.

საბჭოთა წყობილების ისტორიაში სრულდებოდა კომუნისტური ერა, რისი მომსწრე და თვითმხილველნი გავხდით კიდევაც მე-20 საუკუნის ადამიანები.

„ხალხის გონებაში თავისუფლება აანთებს ცეცხლს, ის უბიძგებს მათ, ისწრაფონ პროგრესისკენ და მოვა დრო, რომ ამ ცეცხლის ალი დედამიწის ყოველ კუთხეს მიაღწევს“, — ამბობდა აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი უფროსი ჯორჯ ბუში.

ზედიზედ ეცემოდა „რბილი“ „რევოლუციური“ ძალით საბჭოთა იმპერიაში შემავალი რესპუბლიკები, რაც ძალიან აშფოთებდა რუსეთის ხელისუფლებას.

„ყველაზე საშიშია შექმნა ახალი მიმართულებები „ვარდების“, „ცისფერი“ თუ ნებისმიერი ფერის რევოლუციებით“, — აცხადებდა ვლადიმირ პუტინი. „რევოლუციები“ კი იგეგმებოდა, ფინანსდებოდა და ხორციელდებოდა — უკრაინაში, ჩეხოსლოვაკიაში, სერბეთში, საქართველოში, ყირგიზეთში...

ამ რევოლუციების სულისჩამდგმელნი იყვნენ კონკრეტული პირები, რომელთაც ჯორჯ ბუში „თავისუფლებისათვის მებრძოლებს“ უწოდებდა.

2005 წლის თებერვალში ბრატისლავაში რამდენიმე საათით ადრე პუტინისა და ბუშის უმაღლესი დონის შეხვედრამდე, საინტერესო ფაქტი მოხდა. თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ეს იყო სუპერსახელმწიფოების ლიდერთა პირველი შეხვედრა უკრაინის რუსეთისგან ფერადოვანი რევოლუციით ჩამოშორების შემდეგ. ოფიციალურად გაჟღერდა, რომ ეს შეხვედრა ბევრ რამეს გადაწყვეტდა ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში, მაგრამ შეხვედრის ადგილზე, „მერიოტის“ კულუარებში, სულ სხვა რამეზე ფიქრობდნენ.

ამერიკულმა დელეგაციამ ის საღამო ე.წ. „კოქტეილ-ვეჩერინკით“ აღნიშნა. საღამოს ესწრებოდნენ ბიზნესმენები, ლობისტები, ბუშის სხვა მოკავშირეები. ოთახის კუთხეში ისხდნენ საღამოს ვარსკვლავები — ფერადი რევოლუციების ლიდერები, რომლებმაც დაამხეს საბჭოთა რეჟიმი დასავლეთში. ჯორჯ ბუშმა ისინი პირადად მიიწვია იქ.

„ამ საღამოს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა ერთმანეთში მოვილაპარაკოთ ქართველებმა და უკრაინელებმა, რომ დავანგრიოთ რუსეთი და დღეს სუფრასთან ზის სამი რევოლუციური ლიდერი — 33 წლის ივენაროვიჩი, სერბეთის სტუდენტთა მოძრაობის ლიდერი, მილოშევიჩის რეჟიმის მესაფლავე, 34 წლის ბოკერია, ქართველ ოპოზიციონერ სტუდენტთა მოძრაობა „კმარას“ ლიდერი, რომელმაც დაამხო შევარდნაძის რეჟიმი და ვლადისლავ კასკინი, უკრაინის ფერადი რევოლუციის ლიდერი. ისინი შეიკრიბნენ ახალი მიზნების განსახორციელებლად.

— მე ვაპირებ კუბაში წასვლას, — ამბობს გიგა ბოკერია.

— არა, არა, ჩვენ გადავსხამთ 10 მილიონ სერბს კუბაში, — ხუმრობს ივენაროვიჩი.

ბუში ერთობ კმაყოფილი იყო და მადლობებს უხდიდა ყველას, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო ფერადი რევოლუციების განხორციელებაში.

ყირგიზეთში კი საინტერესო ამბები ხდებოდა. ჯორჯ ბუშის პათოსი გამოღვიძების თაობაზე და თავისუფლების სიოს ქროლვაზე ყირგიზეთში უკვე გაშლილი იყო.

ახლოვდებოდა არჩევნების მეორე ტური და სიტუაცია ნელ-ნელა კონტროლიდან გამოდიოდა.

ყირგიზეთი არ არის ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა, მაგრამ აქვთ საზღვარი ჩინეთთან, რის გამოც, ეს ქვეყანა, უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს, როგორც მოსკოვის, ასევე ვაშინგტონისთვის. რუსეთს იქ სამხედრო ბაზები აქვს, ასევე აშშ-საც, რომელიც აკონტროლებს თალიბანის სამხედროებს ავღანეთის წინააღმდეგ.

ყირგიზეთის ხელისუფლებამ აკრძალა ყველანაირი აქცია არჩევნების დამთავრებამდე, მაგრამ სტუდენტები მაინც ემზადებოდნენ ქუჩაში გამოსასვლელად.

20 ოპოზიციონერი სტუდენტი გვიან ღამით შეიკრიბა ფილმის სანახავად, რომელსაც ეწოდებოდა „დიქტატორის დამხობა“. ფილმი ამერიკელების შექმნილი იყო.



მომდევნო დღეებში ასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში.

ყოველივე ეს განხორციელდა აშშ-ის შეუზღუდავი ფინანსური მხარდაჭერით. 60 მილიონი დოლარი რევოლუციისთვის არ იყო მცირე თანხა. 50 მილიონი აშშ დოლარი ყირგიზეთის სამხედრო ბაზისთვის და 50 მილიონი დემოკრატიის განვითარებისთვის უკვე მიედინებოდა ყირგიზეთისკენ. 120 მილიონი დოლარი კი ყირგიზეთის არჩევნებისთვის.

ვინც ცხოვრობს ტირანიაში, ანტიდემოკრატიულ რეჟიმში, ჩვენ არ დავივიწყებთ მათ. თუ თქვენ შეუფერხებლად იბრძოლებთ თავისუფლებისთვის, ჩვენ ვიქნებით თქვენთან, — აღგვითქვა ჯორჯ ბუშმა. — ამბობდა ყირგიზეთის რევოლუციის ლიდერი.

მაგრამ ყველაზე საინტერესოა, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ახორციელებდნენ „დემოკრატიული რევოლუციის“ ექსპორტს ყირგიზეთში.

— 52 წლის მაიკ სტოუნი, ყოფილი ფოტორეპორტიორი, რომელიც იმჟამად მუშაობდა ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსში“ (**“Freedom House”**); 48 წლის ბრაიან კემპბელი, რომელიც ყირგიზეთში იმყოფებოდა უკვე 15 წელიწადი და ხელმძღვანელობდა იქ ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციას; 43 წლის ტონი დევირ გრიე, კაცი, რომელიც ყირგიზეთში არსებულ ასწლოვან საბაზრო ეკონომიკას ნება-ნება ანგრევდა.

მაიკ სტოუნი კარგად იცნობდა კგბ-ს მეთოდებს, მას შემდეგ, რაც ყირგიზეთში ჩამოვიდა საცხოვრებლად, კარგად შეისწავლა ეს მეთოდები. მის ხელში იყო ყირგიზეთის ყველა ბეჭდური გამოცემა, რის გამოც არჩევნებამდე 10 დღის განმავლობაში ყირგიზეთის მთავრობამ ყველა გაზეთის გამოცემა აკრძალა.

მაიკ სტოუნმა ყირგიზეთში გამოსცა წიგნი-ბროშურა: „დემოკრატიის დიქტატურა“, რომელიც არალეგალურად ვრცელდებოდა და ყირგიზი ოპოზიციონერები ამ წიგნს დემოკრატიის ბიბლიას უწოდებდნენ.

სერბებმა, უკრაინელებმა და ქართველებმა ეს წიგნი გამოიყენეს სახელმძღვანელოდ ფერადი რევოლუციებისთვის.

მაიკ სტოუნს არაფერი აფერხებდა, რადგან დიდი იმედი ჰქონდა თავისი ბოსის ჯონ მაკკეინის, რომელიც ათეული წლები იყო, რაც ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ინსტიტუტს და ახორციელებდა ფერად რევოლუციებს მთელ მსოფლიოში.

ყირგიზეთის რევოლუცია ორ საათში დამთავრდა. აკაევის რეჟიმი სრულ კოლაფსში ჩავარდა. ყველაფერი მოხდა ზუსტად ისე, როგორც საქართველოში.

ყირგიზეთის ფერადოვანი რევოლუციის ახალგაზრდა ლიდერი ამბობდა: „ამერიკელებს არ მოუხდენიათ ეს რევოლუცია და რომც მოეხდინათ, არაფერი არის ამაში საძრახისი, ისინი გვეხმარებიან თავისუფლების მოპოვებაში, იცავენ ადამიანის უფლებებს და ადამიანურ ღირსებას!“

რევოლუციის მამები „დემოკრატიის დიქტატურის“ დამყარებაში ხალხთან ერთად უდიდეს როლს ანიჭებდნენ პოლიციას, რომელსაც საჯილდაო ქვას უწოდებდნენ რევოლუციის დროს.

მაგალითად, სერბეთში რევოლუციის დღეებში 14–15 წლის ახალგაზრდებს პაკეტებით მიჰქონდათ თითოეული პოლიციელისთვის საჭმელი, წყალი, ჰიგიენის საშუალებები და ა. შ. რათა მორალურად მოეტეხათ ისინი. ეს ჩვენი გეგმის ნაწილი იყო, — აცხადებს რევოლუციის თეორიის შემქმნელი ამერიკელი პიარტექნოლოგი და დასძენს, რომ ეს იყო ერთგვარი მოსამზადებელი მოქმედება — როცა დადგებოდა დრო, პოლიციას მათთვის გზა უნდა დაეთმო და ასეც მოხდა.



* * *

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აშშ-მა სტრატეგიული სამხედრო ბაზები განალაგა საქართველოში.

აშშ ყოველ წელს საქართველოს ხელისუფლებას დახმარებისთვის 100 მლნ დოლარსურიცხავდა სააკაშვილის მმართველობისას.

სარწმუნო წყაროებით, ამერიკელი მულტიმილიარდერი და აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წევრი ჯორჯ სოროსი დაეხმარა საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ განხორციელებაში.

იმის მიუხედავად, რომ შევარდნაძეს თავის სამუშაო კაბინეტში კედელზე უფროს ჯორჯ ბუშთან გადაღებული ფოტოც ეკიდა, უმცროს ჯორჯ ბუშთანაც და ამაყობდა კიდევაც ამით, მაინც გადააყენეს, დააკარგვინეს ყველა პრივილეგია და გავლენა და, ფაქტობრივად, ჩაკეტეს სახლში. მოგვიანებით ის ამბობდა:



„ახალგაზრდა პოლიტიკოსებს, რომლებმაც ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს, ფინანსურად მხარს უჭერდა ცნობილი ამერიკელი მილიარდერი ჯორჯ სოროსი. მე არ ვიცი, რატომ მოინდომა მან საქართველოს ხელისუფლების დამხობა, მაგრამ ეს არ იყო რევოლუცია, ეს იყო გადატრიალების მცდელობა“.

ამ გადატრიალების მთავარი ლიდერი გახლდათ გიგა ბოკერია.

ჯორჯ ბუშის ჩამოსვლამდე ორი საათით ადრე მას შეხვედრა ჰქონდა ანატოლი ლებედკოსთან, რომელიც იყო ბელორუსიის ოპოზიციის ლიდერი. 34 წლის ბოკერიასგან ის იღებდა მითითებებს, როგორ უნდა განხორციელებულიყო რევოლუცია ბელორუსიაში. ქართველები ვალდებულად თვლიდნენ თავს, გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება რევოლუციით ხელისუფლებების ცვლილების თაობაზე.

— არის თუ არა ბელორუსიაში ვინმე ისეთი, რომელიც ჩაერთვება ამ „თამაშში“ და მთავარ როლს იკისრებს მთავრობის დამხობაში? — კითხულობდნენ შეხვედრაზე გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე.

— თანხებთან საქმე როგორაა? — აქტიურობდა გიგა.

— ჩვენ დაგეხმარებით, ჩვენ გავაკეთებთ თქვენთვის საქმეს. საჭიროა 4 მლნ დოლარი, რათა მიიტაცოთ ძალაუფლება. — ამბობდა გივი თარგამაძე.

ამასობაში ჯორჯ ბუშის თვითმფრინავიც ჯდება თბილისის აეროპორტში და გიგა ბოკერია ტელევიზიისთვის მიცემულ კომენტარში ამბობს: ეს არის შესაძლებლობა, დავბრუნდეთ მსოფლიო რუკაზე და გავხდეთ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი 200-წლოვანი რუსული კოლონიზაციის შემდეგო.

აშშ-ის პრეზიდენტის მასპინძლობის ცერემონიალს ხელმძღვანელობდა ბრიუს ჯექსონი, გადამდგარი სამხედრო ოფიცერი, რომელიც მეთაურობდა გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში მიმდინარე პროცესების ხელშემწყობ პროექტებს. ის ყველგან იყო, სადაც გაჩნდებოდა რევოლუციების ახალი ტალღები.

ბრიუს ჯექსონი ამბობდა: „რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც ჩვენ სიმშვიდეს გვირღვევს თავისი დემოკრატიის დეფიციტით და დამოკიდებულებებით ქვეყნებისადმი, მაგალითად, საქართველოში, რიგაში, ბრატისლავაში, კიევში, ჩვენ ვიხილეთ დემოკრატიული რევოლუციები. მოკლედ, პირველი მოსვენებას არ გვაძლევს, მეორე — გვაწყნარებს“.

ბრიუს ჯექსონი არ ეწერა ოფიციალური პროტოკოლის ჩამონათვალში, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი მას პირველს მიესალმა.

„კორუფციის და შეცდომების შემდეგ საქართველო დაამტკიცებს, რომ ჩვენ ვართ მაგალითი იმისა, როგორ მუშაობს დემოკრატია მსოფლიოს ამ ნაწილში.

ჩვენ ვაფასებთ, რაც გააკეთა ამერიკამ საქართველოსთვის ამ



წლების განმავლობაში“. — ამბობდა ის.

ის ფრანგული პრესის ჟურნალისტს ინტერვიუს დროს ეუბნება: „ჩვენ არ ვმალავთ, რომ გვსურს რუსული ბაზების ლიკვიდაცია, მაგრამ ვიცით, რომ ეს ასე უცებ ვერ მოხდება. სირიაშიც ხომ ერთი ხელის დაკვრით არ დაუტოვებიათ ტერიტორია?! მაგრამ ყველამ უნდა გავიგოთ, რომ უკვე აღარ არსებობს დღეს საბჭოთა იმპერია არც ერთი ფორმით“.

კომენტარის დროს მას გვერდიდან არ შორდებოდა ბრიუს ჯექსონი, რომლის მამა ცრუ-ის თანადამფუძნებელი და უფროსი ჯორჯ ბუშის უახლოესი მეგობარი იყო.

— რაიმე სწორად არ ვთქვი? — შეეკითხა სააკაშვილი.

— არა, სერ, თქვენ არასდროს არ ამბობთ რაიმე არასწორს, — მხარზე ხელი მოუთათუნა ბრიუს ჯექსონმა.

ამ საუბრის შემდეგ ხალხის შეხვედრა უნდა გაიმართოს თავისუფლების მოედანზე და იქ თავდასხმა უნდა ვიხილოთ ჯორჯ ბუშზე. თავდასხმა, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, კონკრეტული პასუხისმგებელი პირებისგან ყოფილიყო ინსპირირებული...

დღის 3 საათზე ჯორჯ ბუში სიტყვით გამოდის საქართველოს მოსახლეობის წინაშე:

„აშშ და საქართველო ატარებენ უდიდეს პასუხისმგებლობას და ჩვენ ერთად, ჩვენს საქმეს მსოფლიოში გავავრცელოთ თავისუფლება იმ ხალხში, რომლებმაც ეს არ იციან და არ შეუძლიათ“.

მას შემდეგ გავიდა დრო.

2018 წლის 18 თებერვალს ტელეკომპანია **НТВ**-ს ეთერში აჩვენეს სააკაშვილის ბიძის — თემურ ალასანიას ინტერვიუ, სადაც ის ამბობს:

„მე ვიყავი პირველ „მეიდანზე“. მე ვმუშაობდი, როცა იუშჩენკო მოვიდა თავის პირველ ინაუგურაციაზე, როცა არ იყო ჯერ კიდევ პრეზიდენტი და მე მიმამაგრეს მას“.

მაგრამ ვინ მიამაგრა ალასანია იუშჩენკოს?

თემურ ალასანია: „როცა ვხვდებოდით აზერბაიჯანში, ან სადმე სხვაგან, საათობით ვლაპარაკობდით უკრაინის ბედზე და მომავალზე.

როცა პეტრო პოროშენკო აირჩიეს, მას არავინ არ იცნობდა. ფაქტობრივად, „მეიდანის“ ამბების დროს შევხვდით პირველად — მე, მიშა, პოროშენკო და იყო კიდევ ერთი ადამიანი. ეს მოხდა სასტუმროში.

„მე ვიყავი პირველ „მეიდანზე“, მეორე „მეიდანზეც“. იცით, (პაუზა.) კონტრაქტი უნდა შესრულდეს“.

საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრი იგორ გიორგაძე თემურ ალასანიას შესახებ ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა: „საერთოდ, მიხეილ სააკაშვილის ოჯახი სპეცსამსახურებთან ტრადიციულად თანამშრომლობდა. დედამისი გიული, ჩვენთან აგენტად მუშაობ-



და. ბიძამისიც, თემურ ალასანიაც... ასევე, კგბ-ს აგენტი იყო.

ისინი, ყველანი, ასე ვთქვათ, ცრუ-ს (აშშის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) პროექტს წარმოადგენენ.

იგი გადაბირებული არ ყოფილა. მან თავად შესთავაზა თავისი სამსახური აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს“.

„პირველი შეხვედრები ლეონიდ ბრეჟნევის დროს დავიწყე და აშშ-ის თითქმის ყველა პრეზიდენტით დავასრულე“, — ამბობდა ინტერვიუში თემურ ალასანია.

* * *

როგორც ვხედავთ, კონტრაქტით, ხელშეკრულებით და ფინანსური გარიგებით ჰყიდიან ქვეყნებს, ჰყიდიან ჩვენს ქვეყანასაც, ყველაფერს ფულზე დახარბებული ერთი მუჭა ავანტურისტები, რომლებსაც ხალხმა მშვიდობიანად უთხრა უარი 2012 წელს. მას შემდეგ აღარ გვასვენებენ. არ გვაპატიეს — რატომ არ გინდივართ, რატომ არ გიხარიათ ძარცვა, მკვლელობები, ჩაგვრა და მონობა, ე.ი. ბნელები ხართო. მაგრამ დააკვირდით, რა ძალები, უმაღლესი თანამდებობის რომელი კონკრეტული პირები უჭერენ მხარს და უმაგრებენ ზურგს ამ ე.წ. რევოლუციონერებს, რომლებიც, სინამდვილეში, ჩვეულებრივი ყაჩაღები არიან.

წარმოიდგინეთ, 2012-ში ან მას მერე მათთვის ვინმეს ბუზი რომ აეფრინა, საქართველოს მთავრობა კი არა, საქართველო იქნებოდა ჰაერში აწეული და დაბომბილი. ვინც დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს, როგორც ვხედავთ, ესეც დიდი ამბავი ყოფილა.

რაც შეეხება სააკაშვილ-ადეიშვილი-კოდუა-თოფურიძეებს და სხვა „რევოლუციონერებს“, მათზე, რა თქმა უნდა, ხელშეუხებლობის გარანტიები იქნებოდა ვაშინგტონიდან, მაგრამ იმ ვირთხებს ჩვენი, ქართველი ხალხის შეეშინდათ და თავად გაიქცნენ საქართველოდან.

ამასწინათ ნაცნობი მეუბნებოდა, რა დამავიწყებს ნაციონალების გასაცოდავებულ სახეებს, სახლებიდან შიშით გამოდიოდნენ 2012-ში და უკან ჩქარა ბრუნდებოდნენ. მერე აიშვეს თავები და დიდ გულზე მოვიდნენო.



მართლა ღორის ტილები არიან ესენი, რომელთანაირებზე ქართული ანდაზა ზუსტად და ზედგამოჭრილად ლაპარაკობს...

ახლა ბნელებს გვეძახიან ჩვენ ესენი, ეს თავად ბნელები, ქალაქში ჩასულ სოფლელს რომ ჰგვანან, სოფელში რომ დაბრუნდება და ძროხაზე ამბობს, ეს რა ცხოველია, მეშინიაო.

„ბიჭებს“ (და „გოგოებს“) ბოლოს და ბოლოს ჯორჯ ბუშისთვის, ბრიუს ჯექსონისთვის, კონდოლიზა რაისისთვის აქვთ ხელი ჩამორთმეული და ჩვენ, ცხადია, ბნელებად ვეჩვენებით.

სასაცილოა ახლა ეს, აბა, რაღა არის. როგორ შეიძლება ამ საცოდავებზე გაბრაზება, მაგრამ ძალიან რომ თავს გაუვიდათ, ფაქტია.

მენტალურად ხომ არიან და არიან მართლა ბნელები და სულიერადაც ჯურღმულში არიან ჩაფლული.

გაუგებარია, რა კატეგორიის ადამიანმა უნდა დაუჭიროს ამ ე.წ. მოჯანყე „ჟურნალისტებს“ მხარი, რომლებსაც აქციებზე ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლის სახელდარქმეული, ქრისტეს მტერი რუსუდან გოცირიძე უდგათ გვერდით. ეპისკოპოსი ქალი რელიგიიის ისტორიას თუ ახსოვს მწვალებლური რელიგიების გარდა, ამიხსენით, თუ ხალხი ხართ...

გადადგეს ირაკლი ღარიბაშვილი და მთავრობაო, ირაკლი ღარიბაშვილი და მთავრობა რომ გადადგეს, შარაგზის ყაჩაღი ბოკერია უნდა „დადგეს“ თუ ნიკანორ მელია?! ან ღრანჭმორყეული თარგამაძე, კობა ხაბაზი და ნიკუტა გვარამია, თუ ნანუკიე და გრიგოლია?

ამათ უკვე გაყიდეს საქართველო და ქართველები 2003-ში.

ახლა მეორედ, თუ ვინ იცის, მერამდენედ, უნდათ, რომ გაგვყიდონ, რომ უფრო გასივდეს გრიგოლია, ფრთები გაშალოს კოდალა კვესიტაძემ, კარიერა გაიკეთოს არამხადა სანაიამ და სხვებმა...

როგორც მაგათი „დიადი“ ბელადი მიშა იტყოდა: ნურას უკაცრავად!

მსოფლიო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ გაშიფრულია — ერთი მუჭა გაუმაძღართა ხროვა და ჰალსტუხიან უცხო მაწანწალათა ჯგრო საქართველოს ვერ დაამარცხებს.

(სტატია მომზადებულია ინტერნეტმასალების მიხედვით)

**ირანდა კალანდაძე**
593 56-11-18

# თანამედროვე ჟუჟუჟურნალისტიკის საფუძვლები

## ანუ რატომ თუხთუხებს ინგა გრიგოლია ამჟავებული ტომატივით და რატომ აგზავნის პრემიერის მშობლების სახლში უვიცთა დესანტს?!

**გელა ზედელაშვილი:**

გუშინ ერთი ვიდეო გადავახვიე და მეცხრეჯერ ვუყურე, დღემდე ვერ ვიჯერებ, რომ 1990-იან წლებში ჩასახული ჟჟჟუუურრრნალისტი დღეს ასე აზროვნებდეს. ინგა გრიგოლიაზე მოგახსენებთ, მთელი ცხოვრება იმას რომ ამტკიცებს, მე ჟჟჟუუურრრნალისტი გახლა-



მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, პირდაპირ გეტყვით, ინგა გრიგოლია ძალიან ჰგავს ჩემს ჯარის ამხანაგს, იგივე პრინციპით ამტკიცებს, მე ჟჟჟუუურრრნალისტი გახლავართო, მე მთელი ცხოვრება ჟჟჟუუურრრნალისტი ვარო, თავისუფალი სიტყვის მსახურიო და იცით, რას ამბობს 5 ივლისის შემდგომ გადაღებულ ვიდეოში? ტირის, ღმუის, ცრემლებს აღვარღვარებს, იმუქრება, წინასწარმეტყველებს: ხალხო, ესენი სახლებში შემოგვივარდებიან, ყველას დაგვხოცავენ და ერთ დღესაც ჟურნალისტი აღარ გეყოლებათ, რომ დაგიცვათ. გაიგონეთ? ერთ დღესაც ირაკლი ღარიბაშვილი შემოგვივარდება სახლებში თავის ამფსონებთან ერთად, ყველას დაგვხოცავს და თქვენ, საქართველოს მოქალაქეებს ჟურნალისტი აღარ გეყოლებათ. აგერ, როგორც ჟჟჟუუურრრნალისტი ინგა გრიგოლია ამტკიცებს, 53 ჟჟჟუუურრრნალისტი უკვე მოკლეს... მოკლეს რა, სცემეს, მაგრამ ეგ იგივე მკვლელობაა. მისი თქმით, თუ ღარიბაშვილი არ გადადგა, თუ სხვებიც არ მიჰყვნენ, აწი რანაირად უნდა იცხოვროს, არ იცის, ის მთელი ცხოვრება ჟჟჟუუურრრნალისტია, მაგრამ ასეთი რამ არ უნახავს, არც ის ახსოვს, „იმედში" რომ შეცვივდნენ ნიღბიანები, ეგ როდის იყო, რას ამბობთ, რეებს იგონებთ? აი, ახლა კი თავისუფალი სიტყვა დაჭრეს, მოჰკლეს, განგმირეს, ქუჩებში სისხლის გუბეები დააყენეს, დახოცეს, დაჩეხეს, დაკუწეს, მიკუწეს, მოკუწეს, აკუწეს და რაღა ეშველება ახლა დემოკრატიას? თუ დროულად არ მიეხედა ამ საქმეს, თუ არ გადადგა ღარიბაშვილი, თუ არ გადადგა გომელაური, თუ არ გადადგნენ დანარჩენებიც და არ გადმოდგა სააკაშვილი, რომელთანაც ძალიან „სასიამოვნო" ამბები აკავშირებს, თუ ძალაუფლება ხელში არ აიღეს მელიამ, ჯოჯოხეთის მოციქულმა ბოკერიამ, შარვალჩახდილმა ჯაფარიძემ, რაინდმა მაჭუტაძემ, მხცოვანმა ჩიტო-გრიტომ, ომახიანმა თაკომ, სახალადეცე წიკლაურმა და რავი, რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო?!

ინგა გრიგოლია არ არის ჟურნალისტი, ის პროფესიით ფილოლოგია, მაგრამ ეგეც საკითხავია, რანაირი ფილოლოგია, როცა წერტილისა და მძიმის დასმაც კი უჭირს. რაც ამ გრიგოლიას კახა ბენდუქიძემ დამართა, წესით და რიგით წითელი პომადა ჯიბეში უნდა ჩაედო და ტელევიზიას საერთოდ გასცლოდა, მაგრამ ეს არ გააკეთა, უფრო მეტი პრეტენზიები გაუჩნდა, უფრო მეტი ქაჯობა განავითარა. ეს ქალი არის უწიგნური, 30 წლის განმავლობაში, რაც ჟჟჟუუურრრნალისტიკაშია, ორი წიგნი არ წაუკითხავს. ვიღაცა მეტყვის, შენ რა იცი, იქნებ 30 წიგნი წაიკითხაო? არა, ჩემო ძვირფასებო, როცა ადამიანი 30 წლის განმავლობაში ერთი სიტყვითაც ვერ გაიმდიდრებს საკუთარ მეტყველებას, ვერ დაიხვეწავს აზროვნებას და ვერ ისწავლის ადამიანებთან ურთიერთობას, ასეთს აშკარად ეტყობა, რომ ჭორიკნობის მეტი არაფერი უკეთებია. არადა, დამიჯერეთ, ეს ქალი ჭორიკნობაშიც ჩლუნგია.

ინგას ძალიან უნდა, რომ ჟურნალისტი იყოს, მაგრამ ის მხოლოდ ჟჟჟუუურრრნალისტია. იცით, რა განსხვავებაა ჟურნალისტსა და ჟჟჟუუურრრნალისტს შორის? პირველი პროფესიონალია, მეორე კიდევ კრეტინია, ოღონდ სადღაც არის მომჯდარი და თავი კიტრი ჰგონია. არა, კი არის შუშა კიტრი, მაგრამ მას თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონია. წარმოგიდგენიათ? ქალი იძახის, თუ ირაკლი ღარიბაშვილი არ გადადგა, არ ვიცი, რა მეშველება, არ ვიცი, ჩემი ცხოვრება როგორ წარიმართებაო. ამ ადამიანს ყოველთვის ჰქონდა და ახლაც აქვს უპრინციპო პრონციპები, ასეთზე კახეთში იტყვიან ხოლმე, ხისთავიანიაო. დიახ, ხისთავიანს რა მტკიცებულებაც არ უნდა დაუდო ცხვირწინ, მაინც არ დაიჯერებს, მაინც გაასავსავებს კოტიტა თითებს და თავისას ამოუკიკინებს. აი, ინგა ახლაც იძახის, მე არც ექსპერტიზა მაინტერესებს, არც ექსპერტიზის კვლევა მაინტერესებს, ლაშქარავა ხელისუფლებამ მოკლა, ყველამ პასუხი უნდა აგოსო. როდესაც ეკითხებიან, ეგ როგორ მოხდაო? როგორ და პოლიციამ არ დაიცვაო. ჯერ ერთი, ორივე მხარეს ბნელები იდგნენ და ორივე მხარემ მოაწყო პროვოკაცია და მეორეც — კარგი, რა, ხომ ვიცით (მთელმა თბილისმა იცის), ეგ კაცი (ბიჭი აღარ ეთქმის) როგორ და რანაირად გადრაიცვალა? მაგათივე დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტი ალექსანდრე გეჯაძე იძახის, ცემის გამო არ გარდაცვლილაო. ტუმცა ინგას არ აინტერესებს, ინგა თავისუფალი ჟჟჟუუურრრნალისტია, მას თავისი პრინციპები და შეხედულებები აქვს, მისი კოლეგა მოკლეს, მორჩა, დამთავრდა, მთავრობა უნდა გადადგეს. თუ არ გადადგება, მისი ცხოვრება არ იქნება ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, შეიძლება მას უარესი დაემართოს, შეიძლება ერთ დღესაც ქუჩაში ტრიკოიანი გავარდეს და იძახოს, ყველას დაგაბნელებთ, მზესაც დავაბნელებ და მთვარესაცო.

ჩემი აზრით, ინგა ავადაა... ავად რომ არ იყოს, დორბლიანის დავალებებს არ შეასრულებდა... თუნდაც იმიტომაც არის ავად, რომ მკვლელ პატარა ჭუტას ხელქვეითია, ის (პატარა ჭუტა) 2000 წელს მანქანით ტროტუარზე ავარდა და 15 წლის ბიჭი მოკლა. ალბათ გალეშილი იყო, ან კიდევ ნარკოტიკებით გაბრუებული, სხვანაირად ავტობუსების გაჩერებაზე ვერ შევარდებოდა. მაშინ ეს საქმე დიდმა ჭუტამ (ავთო წერეთელმა ჩაფარცხა), მაგრამ ახლა რომ ეს მკვლელი სხვას მკვლელს ეძახის, ეგ როგორაა? ამაზე ინგა გრიგოლია რას ფიქრობს? არაფერსაც არ ფიქრობს, იქით უტევს ირაკლი ღარიბაშვილს, იქით უგზავნის ზონდერ-ჟჟჟუუურრრნალისტებს ირაკლი ღარიბაშვილის მშობლებს დედოფლისწყაროში, სადაც ირაკლი ღარიბაშვილის შვილები ისვენებენ. დიახ, დილის 6 საათიდან უთვალთვალებენ ბავშვებს, თუ გარეთ ცხვირს გამოყოფენ, ეგრევე ეცემიან და შეკითხვებს უსვამენ. კაცი ჟურნალისტიკაში ვბერდები და მსგავსი არაფერი მინახავს, უბრალოდ გაოგნებული ვარ, ეს არის ამათი მედია? შავნოდარაა (ნოდარ მელაძე) თავისუფალი სიტყვის მსახური და დამცველი? ამას წინებზე ინგა გრიგოლია ბოდავდა „უცნობის" გადაცემაში, ჩემი მეგობარი ნოდარი ყველაზე მაგარი ნიუსმეიკერია მედიასივრცეშიო. „უცნობმა" უთხრა, ყველაზე მაგარი ცილისმწამებელიაო. თქვენ გგონიათ, ამ ქალმა რამე გაიგო? მაინც თავისას მიერეკებოდა, არ არსებობს, ნოდარა მაგარიაო. ეხლაც ეგრე აქვს ჩახვეული, ღარიბაშვილი უნდა გადადგეს, ეგეთი ხოში მაქვსო.

23 ივლისს იყო ეგ ამბავი, ზემოთ რომ მოგახსენეთ, პრემიერ-მინისტრის მშობლების სახლთან „დესანტი" გადასხეს-მეთქი. იმ მაწანწალა ჟჟჟუუურრრნალისტებს რას ვერჩი? მგონი ეგ ქალი ადრე „იმედში" მუშაობდა, ქაჯაიას ამბობენ გვარად, ტრაკიდან ბოლი გასდის, პირიდან — ცოფი, იღლიებიდან — ოფლი, ყველას დასდევს ქოშინით, გეგონება ავღანეთის ომიდანაა გამოქცეული და თალიბები ისევ მოსდევენ. წარმოგიდგენიათ? დილის 6 საათიდან ყარაულობდა ირაკლის მშობლების სახლ-კარს ეს შეჩვენებული, მთელი დღე ყარაულობდა და ბავშვებისგან რაღაცის გაგებას ლამობდა. მე პირადად მივმართე სახალხო დამცველს, შე ქაჯო, ეს არ არის არასრულწლოვნების შევიწროება და ბულინგი, ხმას რომ არ იღებ-მეთქი? დღის მეორე ნახევარში გაბედა წამოკნავლება: ისაო, ესაო, როცა ჟურნალისტი სიუჟეტს ამზადებს, ბავშვთა უფლებები უნდა დაიცვასო, არც კონკრეტული ტელევიზია უხსენებია, არც ჟურნალისტი უხსენებია, არც ფაქტი უხსენებია. თურმე ნიკოლოზ გვარამიას ზღაპრების თანახმად, მის შვილებს რომ უთვალთვალებენ, ეს დიდი სტრესია, მაგრამ როცა ირაკლი ღარიბაშვილის შვილებს უთვალთვალებენ, ეს არ არის სტრესი!

23 ივლისს, დილით ირაკლი ღა-



რიბაშვილის დამ, თეა ღარიბაშვილმა „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე ასეთი სტატუსი გამოაქვეყნა:

„სირცხვილია!!!! დილის 7 საათიდან ძალადობთ არასრულწლოვან ბავშვებზე! უკვე მერამდენედ!!! რატომ არ აჩვენებთ, როგორ ძალადობთ ბავშვებზე"?!

მიაქციეთ ყურადღება, უკვე მერამდენედო? გამოდის, ასეთ რამეს ხსირად აკეთებენ. როგორც ჩანს, პრემიერის ოჯახმა ადრე გაატარა, მაგრამ როცა უკვე ბავშვებზე დაიწყეს ნადირობა, ძალზედ მიუღებელი აღმოჩნდა.

როგორც ინგა გრიგოლია, ნოდარა მელაძე და პატარა ჭუტა (წერეთელი) არიან ჟურნალისტები, ისეა ეს დამპალი ვინმე ქაჯაია თავისუფალი მედიის წარმომადგენელი. როგორც ნინო ლომჯარიაა სახალხო დამცველი, ისე ინგა გრიგოლიაა ჟურნალისტი, ხოლო შავნოდარა ნიუსმეიკერი. ცნობისათვის, გრიგოლიას წარმოდგენა არ აქვს, რას ნიშნავს „ნიუსმეიკერი"... მოდით, ერთად ჩავიხედოთ სამოქალაქო ლექსიკონში: „ნიუსმეიკერი" — ამა თუ იმ მომენტში მაყურებელთა და მკითხველთა ინტერესის სფეროში და აქედან გამომდინარე, ჟურნალისტების ყურადღების ობიექტში მოხვედრილი პირი — პოლიტიკური მოღვაწე, არტისტი, სპორტსმენი და ა.შ".

გამოდის... როგორც „დათა თუთაშხიაშია", პირიქითაა, ასინეთა, პირიქით, ნიუსმეიკერი არის ინტერესის ობიექტი, და არა ყალბი „ნიუსების" მკეთებელი, თუნდაც ნამდვილი „ნიუსების" დამამზადებელი. გითხარით, ამ ქალს 30 წლის განმავლობაში წიგნი არ წაუკითხავს-მეთქი და არც ვტყუი, თუ არა უწიგნური და კრეტინი, სხვა ვინ მიუქსევდა ირაკლი ღარიბაშვილის ბავშვებს ე.წ. ჟურნალისტებს?!

ამ შაბათს, კვირის წინა დღეს, შავნოდარამ მძაფრსიუჟეტიანი მო-

10 გვ. →






# უნიჭო პერფორმანსი, ანუ ვირის უკანალში აყვავებული ბროწეულები

## ჩემო არჩეულო ხელისუფლებავ, მთავრობავ, პარლამენტოვ და პრეზიდენტოვ, სანამ შერჩევითი სამართალი არ გაუქმდება ამ სახელმწიფოში, სანამ ერთნაირად არ ვაგებთ პასუხს ჩვენ და უჯიშო „ნაციონალები“, მანამდე არ შევწყვეტ ასეთი წერილების წერას



**გამარჯობა, ჩემო არჩეულო ხელისუფლებავ, მთავრობავ, პრეზიდენტოვ, პარლამენტოვ, იმანოვ და ამანოვ,** წინა ნომერში მოგწერეთ, გიჟუა ჰელენ ხოშტარიას რატომ არ სჯით, სახელმწიფო კანცელარიაში რომ მოგივარდათ და წითელი საღებავით მიგწუწ-მოგწუწათ-მეთქი? იქვე ისიც გითხარით, იმავე იდიოტს როგორ ჰპატიობთ, „ქართული ოცნების“ ოფისის კედლები საღაბავებით რომ მოთხვარა და პოლიციელებსაც შეასხა-მეთქი? ეს კიდევ არაფერი, ამ ქვეყანაში „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები ძალიან ბევრ ცუდ რაღაცას სჩადიან, რაც დასჯადია, მაგრამ არ ისჯებიან, გეგონება მათ ყველაფერი ეპატიებათ. სხვას არა, მაგალითად, „ქართული ოცნების“ მომხრეებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს არაფერი ეპატიებათ, ღმერთმა ნუ ქნას, რამე მსგავსი ჩაიდინონ, ეგრევე გააქანებენ სადაც ჯერ არს. ვინაიდან და რადგანაც, ცხოვრება ისევ ძველებურად გრძელდება და ჰელენ (ლეიკა თუ ლაიკა) ხოშტარია ისევ ძალადობს, იძულებული ვარ, სხვა მაგალითებიც შეგახსენოთ და ისიც მოგახსენოთ (განმეორებითა და დაბეჯითებით), რომ ასე არ შეიძლება, დაუსჯელობა ძალიან საშიში მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში, თუ ერთი მოედო მთელ ქვეყანას, მერე ველარავინ გააჩერებს!

ისინი მოდიან, როგორც ხოში აქვთ, ისე იქცევიან — გიჟობენ, ნებისმიერ ადგილს ბილწავენ, შარდავენ, კარვებს აწყობენ, თვეების, წლების განმავლობაში იქ ცხოვრობენ... ცხოვრობენ რა, ბომჟებივით ყრიან... ბომჟებივით რა, ფაქტობრივად ბომჟები არიან, თავებსაც კი აღარ იბანენ. დაეხეტებიან, ხან სად მივარდებიან, ხან — სად, უფრო ხშირად „ქართული ოცნების“ ოფისის მიმდებარე ტერიტორია აქვთ ამოჩემებული, პარლამენტის შენობის შესასვლელებიც, შიგნით არ უშვებენ, თორემ იქაურობასაც წაბილწავდნენ, იატაკზე შხამს მოახსავდნენ... აკი ერთხელ მოასხეს კიდეც, მგონი შარშან იყო თუ შარშანწინ. დიახ, წინა მოწვევის პარლამენტში ირმა ნადირაშვილმა და რომელიღაც ქალმა (აღარც კი მახსოვს მისი გვარ-სახელი, გაქრა, გადაიკარგა, კვალი ვერ დატოვა) რომ მოასხეს საწამლავი და რამდენიმე დეპუტატი აყირავდა, გახსოვთ? მაშინ ეს გავარვარებული „ნაცები“ ტერორისტებად მონათლეს, თუ არ ვცდები, გამოძიებაც დაიწყო, მაგრამ რათ გინდათ? ჩაიარა, ჩაიფარცხა, მოკვდა მაი ამბავი ისე, რომ პასუხი არავის უგია, ამ თავხედებისთვის ადმინისტრაციულიც კი არავის გაუფორმებია, აღარაფერს ვამბობ ხელფასიდან 20 ლარის დაკავებაზე.

ჰოდა, იმას ვამბობდი... ეს მძორები ყველგან დაძრწიან, შეუძლიათ, ნებისმიერ სახელმწიფო შენობას ბოქლომი დაადონ, დაცვას შეაფურთხონ, პოლიციელებს საღებავი შეასხან და დედაც შეაგინონ. პუტინის მონავ! ბიძინას მონავ! შე ბნელო! შე მოღალატევ! -ასეთების ძახილი უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სამწუხაროდ, არც ერთი ნაბოზარი სათანადოდ არ ისჯება. არ მითხრათ, ეგეთ სიტყვებს ნუ ხმარობო... როგორ გეკადრებათ? მე ნაბოზარს დაუმსახურებლად არავის ვუწოდებ, პირიქით, ჩემგან „ნაბოზარის“ წოდება თითქმის მოფერებაა, სინამდვილეში ასეთად წოდებული ძალიან დიდი ჩათლახია. მაგალითად, ირაკლი აბსანძე — როგორც ბატონმა რეზო ამაშუკელმა უწოდა, ტრაკში აყვავებული ბროწეული. დიახ, ვეთანხმები, ეს ტიპი არის ვირის უკანალში აყვავებული ბროწეული!

რა დააშავა ირაკლი აბსანძემ? ოოო... რაც მან იკადრა, ამას არ იკადრებდა არც ერთი ნორმალური ადამიანი. ეს ტიპი მუშაობს „საზოგადოებრივ მაიწყებელში“, რომელიც ფინანსდება მოსახლეობის ჯიბეებიდან. როდესაც ჩვენ ბიუჯეტში შეგვაქვს საშემოსავლო გადასახადი, იქიდან ნაწილი მიდის ამ ტელევიზიის ბუღალტერიაში და შემდეგ ამ უჯიშოს აძლევენ ჯამაგირს. რაში აძლევენ? იმაში, რომ ვითარცა დიდ „მოაზროვნეს“, დაუთმეს საეთერო დრო და უთხრეს, შენი უზნეობა გამოაჩინეო. ამანაც გამოაჩინა, მეტი რა უნდა ექნა? 5 ივლისის მოვლენები ჯერაც არ იყო ჩამთავრებული, პირბადე არ გიკეთიაო? პოლიციელებმა ეგრევე „შეისრუტეს“ ეს თქვენი აბსანძე, ეგრევე გააქანეს „კაპეზეში“, მაგრამ რათ გინდათ? უცებ მიკუსკუსდა ქალბატონი თინათინი პოლიციაში და უცებ გამოაშვებინა აღტყინებული ხელქვეითი. არც ჯარიმა, არც ადმინისტრაციული, არც არაფერი. აი, მე რომ ვყოფილიყავი მის ადგილას (ასი წელი არ ვიქნები, ეგრე არ გამოვქლიავდები, მაგრამ მაინც), თქვენ რომ ყოფილიყავით, ძაან მაგრად გაგვწეწავდნენ... აი, ძაან მაგრად!

ჰოდა, ჩემო არჩეულო ხელისუფლებავ, მთავრობავ, პრეზიდენტოვ, პარლამენტოვ, იმანოვ და ამანოვ, იცით, ამ არასრულყოფილმა აბსანძემ რატომ „იკაცა“? „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ გადასვლა უნდა ან „ჭუტავიზიაში“, ან „ჩაჯვივიზიაში“, ან კიდევ „კეზერვიზიაში“ და ამით სამივე უბორნიის „უმფროსს“ აცნობა, თქვენიანი ვარ, წა-



გამოვარდა, ჯერ სინაგან საქმეთა სამინისტროს აგინა, თქვენი დედა მოვ(ს)ტ...ან, ეს რა ჰქენითო? ვითომ გაბრაზდა აყვავებული არაგვზე დეკა კი არა... აყვავებული ბროწეული, თან ისიც მიაყოლა, ანუ თავის უშუალო „უმფროსს“ მიმართა, თინა ბერძენიშვილო, თუ ტრაკი გაქვს, გამათავისუფლე სამსახურიდანო. გაიგონეთ? თუ ტრაკი გაქვსო, შეურაცხყოფას აყენებს ჯერ ერთი ქალს და მერე კიდევ თავის ხელმძღვანელს. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შინაგანაწესის თანახმად, ბერძენიშვილი ვალდებული იყო, ეგრევე ჭიტლაყასუნი, ანუ თავისი წვეტიანი მოკასინი ამოერტყა კუდუსუნის მიდამოებში და აბსანძე „ქართული ოცნების“ მომხრე ან წევრი რომ ყოფილიყო, ეგრეც მოხდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მსგავსი არაფერი მომხდარა, ქალბატონ თინათინს ხმაც არ ამოუღია, თუ არ ვცდები, აბსანძეს მადლობაც კი გამოუცხადა პირად საქმეში შეტანით, რადგან მან გამოიჩინა გაბედულება და ბრძოლა გამოუცხადა ქვეყანაში გამეფებულ დიქტატურას. მეტიც, იცით, რა მოხდა შემდეგ? ეეე... ჯერ სად ხართ? რასაც ახლა გეტყვით, დიდად საინტერესო და უცნაური ამბავია ქართულ სინამდვილეში, თუმცა უკვე ჩვეულებად ქცეული. აბსანძე შინაგან საქმეთა სამინისტროს გინებით და საკუთარი ხელმძღვანელის ტრაკის ხსენებით არ დაკმაყოფილდა, გავარდა აქციაზე, შევარდა პოლიციელების „კრუგში“ და ერთს დაეტაკა, რომელიც ყველაზე დიდი იყო, შე ყ..ეო, რატომ მიყვანეთო. იმათ არ მიჰყავთ, ასეთი კომიკური არსება, ვირის უკანალში აყვავებული ბროწეული იმათაც არ სჭირდებათ. ეს ტიპი 2012 წლიდან მახსოვს, ივანიშვილის პრესკონფერენციებზე დაბლაყუნობდა და ლიბერალობდასავით, თავისებურად აჩმახებდა. ბატონმა ბიძინამ ერთიორჯერ შენიშვნაც მისცა, ნუ ცრუპენტელობ, დაწყნარდი, ნერვები დაიმშვიდეო. ეს მაინც არ წყნარდებოდა, კვლავ მიედებოდა და მოედებოდა. მერე ერთი პერიოდი გაქრა, მაგრამ როგორც კი ვასილი გახდა „საზოგადოებრივის“ დირექტორი, კაი საპატიო ადგილზე გადაითხლაშა, კაი საათნახევრიანი გადაცემა უბოძეს, გეგონება „ნაცებთან“ ბრძოლაში გახლდათ დამაშვრალი და იმსახურებდა. რა დამაშვრალი? რა ბრძოლა? ეს ვინმე აბსანძე, რომელმაც მაყურებელს თავი ვერაფრით დაამახსოვრა, მხოლოდ რეზო ამაშუკელის წყალობით გახდა „პოპულარული“, მთელმა ქვეყანამ დაახლოებით ათ წუთში გაიგო, რომ უკანალში აფეთქებული, ანუ აყვავებული ბროწეული. აი, არ დაისაჯა თავხედი ჯეელი, მოუთმინეს, კვლავ თავზე ხელი გადაუსვეს, ალბათ უახლოეს დღეებში სტუდიაში დასვამენ, უფრო ფართე მაგიდას დაუდგამენ, პრემიასაც გამოუწერენ და ყურში ჩაჩურჩულებენ: თქვენო ულიბერალესობავ, ოღონდ დამშვიდდით, არაფერზე ინერვიულოთ, თუ გნებავთ ყოველდღე გვაგინეთ პირდაპირ დედების ტრაკებიო. ვიმეორებ, ამ დებილისთვის იმ დღესვე უნდა ამოერტყათ ჭიტლაყასუნი და დაეგორებინათ ტელევიზიის კიბეზე, მაგრამ რას ამბობთ, ასე ხომ დემოკრატიას შეექმნებოდა საფრთხე ჩვენს სათაყვანებელ სახელმწიფოში? არა, არ შეექმნება საფრთხე... ეს იმათი აზრი მოგახსენეთ, თინათინისა, ლიბერალური „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დირექტორი როა ვასილ მაღლაფერიძის შემდეგ და ამ ერთი თავაშვებული თანამშრომლის წინაშეც კი რომ ჩაიფსა. ეგრეა, ჩემო არჩეულო ხელისუფლებავ, მთავრობავ, პარლამენტოვ და პრეზიდენტოვ, განა არ გინდათ, თავხედები და დამნაშავეები დასაჯოთ? გინდათ, შეიძლება ჩვენზე ძალიანაც გინდათ, მაგრამ თინათინ ბერძენიშვილისა არ იყოს, აუტკივარი თავის ატკიებაც ხომ ძნელია? მაგალითად, როგორ გგონიათ, რა მოხდებოდა, ავადმყოფი აბსანძე სამსახურიდან რომ გაეგდოთ, ან კიდევ არ გაეგდოთ და ზრდილობიანად დაეთხოვათ შინაგანაწესისა და საკუთარი „ტრუსიკის“ რღვევისა გამო, ან სულაც პოლიციელებისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო? დაიწყებდა ფერადი აბსანძე ყველა ინსტანციაში სირბილს, არასამთავრობოებში და სასამართლოში ჩივილს, მერე სტრასბურგის მიმართულებით ყივილს, ტელევიზორში ტირილს... ჰოდა, არ სჯობს, თავზე ხელი გადავუსვათ და პრემიაც გამოვუწეროთ? სულ რომ არაფერი, ღამე მშვიდად ხომ დავიძინებთ? თან არ დაგავიწყდეთ, მიუხედავად იმისა, რომ აბსანძემ ქალბატონ თინათინს უთხრა, გამათავისუფლე თუ ტრაკი გაქვსო... მიუხედავად იმისა, რომ უხეშად დაარღვია გენდერული ბალანსი, იმავე ქალბატონმა თინათინმა ყურის მოდვრენით, პოლიციის განყოფილებიდან თანამშრომლის წამოყვანით ფერადი საზოგადოების კეთილგანწყობა მოიპოვა. აქ მთავარი ის კი არ არის, რას გვეუბნება კანონი და როგორ მოიქცეოდა სამართალი, იგივე ჩვენ რომ გაგვეკეთებინა, აქ მთავარია, ე.წ. ლიბერალურ-სექტანტური მოძრაობების სიმპატიების მოპოვება. აი, ამიტომ არის ჩვენი კანონები შერჩევითი, ამიტომ ეპატიებათ ყველაფერი „ნაციონალებს“, იმნაირებს, ამნაირებს და არ გვეპატიება ჩვენ, ტრადიციული, ნორმალური, კაცური აზროვნების ადამიანებს. იცით, ზოგჯერ მეც წამომივლის ხოლმე ძაან გულკეთილური გრძნობები, მეც გამიაქტიურდება ხოლმე გულის აჩვილების პროცესი და ვფიქრობ, მშობლებს ავადმყოფი შვილი ხომ უფრო მეტად უყვართ? დიახ, ასეა, უფრო მეტად უყვართ, მაგრამ თუ ამ ავადმყოფმა შვილმა მოინდომა, რომ ოჯახში ყველა ავადმყოფი უნდა იყოს და ყველას ომი გამოუცხადა, როგორც ვიცი, მას ან ინტერნატში (ინტერნეტში არ აგერიოთ, ადრე ბავშვთა სახლებს ინტერნატები ერქვა) აბარებენ, ან კიდევ უპატრონოთა სახლში. ჰოდა, რავი, ხომ შეიძლება, მაგალი-





10 გვ.

# თანამედროვე ჭუჭუჟურნალისტიკის საფუძვლები

← 8 გვ.

ნოლოგი გამოაცხო: სად იყავით თქვენ, როდესაც მე რუსი გენერლები ავტომატებს მიტრიალებდნენო?! თქვენნაირი მოსული და წასულიც ბევრი მინახავსო! გავა წლები და მომავალი თაობა მოგიხსენიებთ, როგორც ყველაზე ბოროტ მთავრობასო... და ისაო, არაფერი შეგეშალოთ, მე ის ნოდარა ვარ, „იმედი“ რომ დაარბია ხელისუფლებამ, ეზოში ვიდექი ჩართული კამერით, ერთი წუთით არ გავჩერებულვარო. შავნოდარა იმ ხელისუფლებას უწოდებს ბოროტს, რომელსაც არც ტელევიზია დაურბევია და არც სანდრო გირგვლიანი მოუკლავს (აღარაფერს ვამბობ სხვა სანდრო გირგვლიანებზე), სამაგიეროდ იმ მართლა ბოროტი ძალის წისქვილზე ასხამს წყალს, იმ ბოროტი სექტის წარმომადგენელია, რომელმაც მოკლა გირგვლიანი და დაარბია ტელევიზია, დახვრიტა ახალგაზრდები, აწამა პატიმრები და ბიზნესმენები, გააუპატიურა ადამიანები, გადაიღო გაუპატიურების 27 ათასი ვიდეო. წარმოგიდგენიათ? 27 ათასი... და ეს სირთაოზ ყვერაძე სხვებს ეუბნება, მომავალი თაობა ყველაზე ბოროტებად მოგიხსენიებთო. ესეც ავადაა, ეს ჩემისა, იმავე შაბათს თავის ჭუჭუ ჭურნალისტებს სიუჟეტი მოამზადებინა, ადრე ირაკლი ღარიბაშვილის მამა „ნაციონალი“ იყოო, კომპრომატი გამოუქექა. სასაცილოა, ეგ ამბავი მე მკითხეთ, იმ დროს, რა დროსაც ირაკლის მამას, ტარიელ ღარიბაშვილს „ნაცობას“ აბრალებენ, ის იყო ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი, მას არ ეკავა არანაირი მნიშვნელოვანი თანამდებობა და თავისუფლად შეეძლო, არ ყოფილიყო არც „ნაცი“, არც „გნაცი“, არც „შმაცი“. თუნდაც ყოფილიყო, თუ ეს შავნოდარას აზრით კომპრომატია, მაშინ თვითონ რატომ არის „გნაცი“? არა, მართლაც ხომ საინტერესოა? „ნაციონალი“ გაბრალებს შენ ადრე „ნაციონალი“ იყავი და ეს არის ძალიან ცუდიო. სასაცილოა, ძაან მაგრად აქვთ არეული რამსები ამ უბედურებს, მართლა ავად არიან.

თუკი პირდაპირ ეთერში აცხადებ, ქვეყანაში დიქტატურააო, გამოდის, ცრუობ, იტყუები, მასე რომ იყოს, ამას ვინ გათქმევინებდა? გითხარით, ამათ რამსები აქვთ არეული, ბოდიალობენ, აქეთ გვეჭიმებიან, „იმედს“ რომ არბევდნენ, ეზოში ვიდექით მედგრადო. ჯერ ერთი, ეგეც საკითხავია, ეზოში იდგნენ თუ გივია თარგამაძის კაბინეტში ისხდნენ მოკუნტულები და მეორეც — შე ჩემა, სწორედ მაგას არ გეუბნებით, მკვლელებისა და დამრბევების მხარეს რატომ ხართო? ამ დეგენერატებისთვის ლოგიკური მსჯელობა უცხოა, ამათ თავებში ნორმალური ლაპარაკი არ შედის...

„ხელისუფლებამ მედიასთან დაიწყო პირდაპირი ომი და ეს არის ბოლო გაფართხალება“! — აცხადებს გავეშებული გრიგოლია და მე ამ დროს ვფიქრობ, რომ ეს არის ამისი და ამისნაირების ბოლო გაფართხალება. დიახ, თუ ახლა მან, ვინმე ეკა მიშველაძემ და ვინმე ვახტანგ სანაიამ რევოლუცია არ მოაწყეს, ჩაირეცხებიან. გრძნობს ეს დედაკაცი, ჩასარეცხად რომ არის გამზადებული, ამიტომაცა ღელავს როგორც ტომატი და უნდა, რომ ხელში ეჭიროს მას ავტომატი!





ავტომატი ჟორიკა რურუას ხელობაა, ინგამ ერთი მანქანის ტარება იცოდა და ეგეც დაავიწყდა, ფეხით დადის, ახლა კი უბრალოდ ღელავს, როგორც ტომატი... მისი მუქარა სასაცილოა, უკვე სასაცილოა, მან არ იცის, ვერ გრძნობს, რომ კოტიტა თითების ქნევა ანაქრონიზმია, მისი ყალბი მუქარისა აღარავის ეშინია. და იცით, რატომ არის ქალბატონი ინგა ყელამდე ყალბი? ამ დღეებში სტუდიაში ეჯდა კაკო ბობოხიძე, ადრე ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს თავ-პირი რომ გაუერთიანა და ერთად გმობდნენ ჟურნალისტებზე თავდასხმას. ესე იგი, მოძალადე კაკო ბობოხიძე გმობს ძალადობას, გესმით, რეები ხდება დედამიწაზე? სამაგიეროდ, არ გამოსულა კაკოიე და არ დაუგმია ის ფაქტი, პრემიერ-მინისტრის შვილებზე რომ ძალადობენ ვითომ ჟურნალისტები, სინამდვილეში კი ზონდერ-ჭუჭუ...რნალისტები. არც არის საჭირო, ვის რა ფეხებად უნდა ბობოხიძის დაგმობა? აქ ერთი რამეა მთავარი... რაც ახლა ხდება, რასაც ახლა აკეთებენ ამ ქვეყნის მტრები, ეს არის სასწრაფო წესით აღსაკვეთი, თორემ ამათ თავხედობას ყველა ვერ მოითმენს და ამ ვერმოთმენას მოჰყვება ძალიან ცუდი მოვლენები. მე მითქვამს, დამიჯერეთ, დანარჩენზე კი შემდეგ ნომერში მოგახსენებთ. მადლობა ყურადღებისთვის.

# უნიჭო პერფორმანსი

← 9 გვ.

თად, თინა ბოკუჩავა, ყველას რომ მხრებზე ახტება პარლამენტში და მერე ზემდგომ ორგანოებში უჩივის, მარცხენა დუნდულზე ხელი მომკიდაო, გადავიყვანოთ ინტერნატში, უპატრონოთა სახლში, ან სადმე, რა ვიცი, მოიფიქრეთ. ერთი რა მაგის პასუხია და თინას ქმარი კოტე იოსელიანი სად არი? ადრე სულ ტელევიზორში იჯდა და რაღაცებს ლაპარაკობდა, ძაან მაგრად „ნაციონალობდა“, კაი ხანია არ გამოჩენილა, დავიჯერო, ბიზნესში წავიდა ბოკუჩავას რჩევა-დარიგებით? ან იქნებ სულაც გალოთდა, იქნებ ღვინოს და ვისკს წრუპამს დილიდან საღამომდინა? რაღა დაგიმალოთ და... ეგეთი ახტა-ჯანა ცოლის შემყურეს მეორე უფრო დეემართებოდა, გალოთდებოდა, მა რა მოუვიდოდა?!

წინა კვირას თინა ბოკუჩავამ მოაწყო პარლამენტში წიოკი და დავიდარაბა, დარბოდა დარბაზში და იძახდა: აბა, დამიჭირეთ, თუ კაცები ხართო! მერე გაქანდა, ამოიქოქა, ამოიღნავლა და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში უნდა მოედინა ზღართანი, მაგრამ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა, შალვა პაპუაშვილმა სტაცა ხელი და „შკაფივით“ გადმოდგა აქეთ, ცოტა ქვემოთ, რა დროსაც, როგორც ჩანს, მარცხენა დუნდულზე მოუხვდა ხელი. პრინციპში, ჯერ არც კი არის დამტკიცებული, მოუხვდა კი ხელი დუნდულზე, ან კუდუსუნის მიდამოებში? ეს „ინციდენტიც“ შეუმჩნევლად ჩაივლიდა, რომ არა დებილ ზაალ უდუმაშვილის საგანგებო განცხადება: ისაო, შალვა პაპუაშვილმა თინა ბოკუჩავაზე იძალადა და უნდა დაისაჯოს, ჯერ საყვედური გამოუცხადეთ პირად საქმეში შეტანით, შემდეგ კი საერთოდ შეუწყვიტეთ სადეპუტატო უფლებამოსილებაო. კაცო, იცით, რა მიკვირს? საიდან გაჩნდნენ საქართველოში ეგეთი დედლები, თან რომ იტყლარჭებიან და თან კიდე კაცობაზე რომ დებენ თავსა? შე თავგასიებულო, თუ პაპუაშვილმა შენს მეგობარ ქალზე იძალადა, შენ რას აკეთებ ამ დროს, კაცი არა ხარ? თვალებს არ აბრიალებ ბუღასავით? მიდი, გამოექომაგე, ან მუშტი აღმართე, ან თავი დაჰკარი ჩაქუჩივით, რას მისჩერებიხარ პატრულსა და ადმინისტრაციის უფროსს? ბოზი ხარ, ბიჭო?! ააა... კიიი... ბოზი ხარ, აბა, რა ხარ? ბოზი რომ არ იყო, „ნაცებში“ რა გინდა?!

**ჩემო არჩეულო ხელისუფლებავ, პარლამენტოვ, მთავრობავ, პრეზიდენტოვ, იმანოვ და ამანოვ**, იცით, რატომ ბლატაობს პარლამენტში თინა ბოკუჩავა და იცით, რატომ აძლევს თავის ქერქეტა თავს ყველაფრის უფლებას? იმიტომ, რომ თავის დროზე ის ორი ბოროტმოქმედი დედაკაცი არ დაისაჯა, მხუთავი საწამლავი რომ მოასხეს იატაკზე და დეპუტატები დერეფნებში ახოხიალეს. სხვაგან ეგრე არ იქნებოდა, ნებისმიერ ქვეყანაში, მინიმუმ, სადეპუტატო უფლებამოსილებას გაუუქმებდნენ. ახლა კი რა ხდება? ბოკუჩავა იქით ადანაშაულებს შალვა პაპუაშვილს, ჩემზე იძალადაო, დასაჯეთო... იქით დასასჯელები, ლამის ყოველდღე რომ შლიან სხდომებს და ამაში იღებენ მსუყე ხელფასებს, სხვის დასჯას ითხოვენ. უკაცრავად, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, დააფსას ეგეთ დემოკრატიას დეპუტატმა მაჭუტაძემ!

სხვათა შორის, თავიანთ ყოველ სიგიჟეზე „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები იძახიან: რა მოხდა, ეს ხომ უბრალოდ პერფორმანსი იყოო? ჰა, ჰა, ჰა... პერფორმანსიო, ატყუებენ ამ კრეტინ ჭუჭუ...რნალისტებს და მაგათაც სჯერათ. პერფორმანსი არის მხატვრული შემოქმედების სახეობა, რომელიც აერთიანებს თეატრსა და სახვით ხელოვნებას. აი, ასეთი განმარტება ახლავს ამ ტერმინს ლექსიკონში, ეს არის მხატვრული შემოქმედების სახეობაო. მერედა სად არის ბოკუჩავას, ხოშტარიას, ხერხეულიძისა თუ სხვა მსგავსთა საქციელში მხატვრული შემოქმედება? ბოლო დროს ერთის საქციელში კი გამოერია რაღაც შემოქმედებითობასავით, მაგრამ ისე უხეშად აფარინდა სადეპუტატო მაგიდაზე, ისე უხეშად გაჩაჩხა ფეხები მხრების სიგანეზე, წყალში ჩაყარა მთელი თავისი ნიჭი და გონიერება. დიახ, ვინმე მამულაშვილზე მოგახსენებთ, რომელიც ჯერ კიდევ 1970 წლებში გამოშვებული ქოშებით დადის სამსახურში. რამდენჯერ ვიკითხე, მითხრეს და მაინც ვერ დავიმახსოვრე ქალბატონ მამულაშვილის სახელი, თუ არ ვცდები, ჟუჟუნა უნდა ერქვას, ან ციური, ან მაყვალა, ან კიდევ შაშა და კოლა... პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს, რატომ უნდა ვიცოდე ყველას სახელი და გვარი? ეგეც ჩამოიყვანეს ციმ-ციმ მაგიდიდან, ეგეც უჩივის ჩამომყვანს, კუდუსუნის ძვალში ამომდო თითი და ძუძუებზე ჩამომკრა შარვლის „ზმეიკაო“, ესეც ძალადობააო.



ჩემო არჩეულო ხელისუფლებავ, მთავრობავ, პარლამენტოვ და პრეზიდენტოვ, სანამ შერჩევითი სამართალი არ გაუქმდება ამ სახელმწიფოში, სანამ ერთნაირად არ ვაგებთ პასუხს ჩვენ და უჯიშო „ნაციონალები“, მანამდე არ შევწყვეტ ასეთი წერილების წერას, მანამდე ყოველ ოთხშაბათს შეგახსენებთ ფაქტებს, მაგალითებს და მტკიცებულებებს. ეგრე არ შეიძლება, ვერ გავიგე, ჩვენ რომ ვირის ტრაკში აყვავებული ბროწეულები არ ვართ, ამიტომ უნდა დავიჩაგროთ?!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“, იურისტი გელა ნიკოლაიშვილი:*

**— ბატონო გელა, კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ 2004 წლიდან არსებობს. რამდენად სწორად არის, ჩვენთან, სიტყვის თავისუფლება გააზრებული?**

— სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე როცა ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, აქ, ორმაგი სტანდარტების გამოყენება, დაუშვებელია. ზოგადად, ეს ნებისმიერ საკითხს ეხება და განსაკუთრებით, ამ თემას. მაგალითად, მიუღებელია სიტყვის თავისუფლების შემდეგი გაგება: ჟურნალისტის სტატუსის მქონე პირს, თურმე, შეუძლია კონკრეტულ პირს დედა აგინოს, უკიდურესად შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართოს, მასზე ფსიქიკურად იძალადოს ან მორალური ტანჯვა მიაყენოს, ხოლო იგივეს ჩვეულებრივი ადამიანი თუ გააკეთებს, მის მიმართ, შესაძლოა, არამხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრება, არამედ სისხლის სამართლებრივი დევნაც კი დაიწყოს. რა თქმა უნდა, ორმაგი სტანდარტი საზოგადოებისთვის, ყოველთვის, დამანგრეველი იქნება. შედეგად, გარკვეული კასტა, ჯგუფი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ეგიდით, თავის უპირატეს მდგომარეობას მუდამ გამოიყენებს და დემოკრატიის, დამოუკიდებლობის, თავისუფლების სახელით შეფუთავს იმ ქმედებებს, რაც ადამიანს, პირდაპირ, ანგრევს. საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს კონკრეტული მუხლები, რაც არამხოლოდ ჟურნალისტის, არამედ ადვოკატის პროფესიისთვის ხელისშემშლას ითვალისწინებს, რაც შეიძლება სისხლის სამართლის დევნის საფუძველიც გახდეს. ანუ, ნებისმიერი პროფესიის ადამიანის მიმართ პროფესიული ნიშნით დევნას.

ავიღოთ შემთხვევა, როდესაც თავად ჟურნალისტები დევნიან პროფესიული ნიშნით, თუნდაც, პოლიტიკოსებს, რომელთაც ქუჩაში გასაქანს არ აძლევენ ან პარლამენტის სხდომაზე იჭრებიან და სხდომას შლიან. ვკითხულობ: რატომ არ უნდა დაიწყოს, ამ შემთხვევაში, სისხლის სამართლის დევნა ჟურნალისტების მისამართით ან იმ პოლიტიკოსების, რომელთაც არაერთხელ ჩაშალეს სხდომა?! მეტსაც გეტყვით: როცა ამერიკაში, კაპიტოლიუმის შენობაში ასეულობით ადამიანი შეიჭრა, პოლიციამ ხუთი ადამიანი მოკლა, ბევრს ფიზიკური დაზიანება მიაყენა. არცერთი პოლიციელის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. თავდამსხმელები დამნაშავეებად გამოაცხადეს, ხოლო როდესაც საქართველოში 20 ივნისს ანალოგიური რამ მოხდა, შტურმავიკები — გმირებად, პოლიციელები კი — დამნაშავეებად გამოაცხადეს. აქაური — ქართველი შტურმავიკებისთვის, ეს, გამოხატვის თავისუფლება იყო, ამერიკელი შტურმავიკები კი სისხლის სამართლის დამნაშავეებად სცნეს. 500-ზე მეტი პიროვნება დაკავებულია და მათზე სისხლის სამართლის დევნაა დაწყებული. საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან. აქედან გამომდინარე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაინტერესებული პირებისთვის — პოლიტიკოსებისთვის, ჟურნალისტებისთვის ხელში ისეთი იარაღია, რომლითაც როგორც უნდათ ისე მანიპულირებენ. ეს ჟურნალისტები პოლიტიკური პარტიების დანამატები და იდეოლოგები არიან. რეალურად, მიდგომა ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს. არადა, ერთ შემთხვევაში, ეს არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მეორე შემთხვევაში, პირიქით. ეს უკვე ორმაგი სტანდარტია.

**— საოცარია, მაგრამ ამ კანონის თანახმად თუ იჩივლე, იქეთ უნდა ამტკიცო, რომ დამნაშავე არ ხარ. ცილისწამებისთვის რა სასჯელი არსებობს?**

— ეს საკითხი, ყველგან, სხვადასხვაგვარად, რეგულირდება. თუმცა, ცილისწამებისთვის, რა თქმა უნდა, პასუხს აგებენ. ძირითადი აქცენტი ფულად ჯარიმებზე გადატანილი, რაც 10 და 100 ათასობით თანხას შეადგენს, ზოგჯერ, მილიონსაც. ამიტომ, ცილისმწამებლები ცრუ ბრალდებებს ერიდებიან, რათა საკუთარ ფინანსებს დარტყმა არ მიაყენონ. ამის გამო, ზოგ ქვეყანაში, სისხლის სამართლის დევნაც იწყება.

**— სად გადის ზღვარი, თუნდაც, გამოხატვის თავისუფლებასა და ხულიგნობას შორის?**

— მთავარი ის გახლავთ, რომ ასეთი ჟურნალისტები — მედიატერორისტები, თვითონ კლავენ ჟურნალისტიკას, მედიას. მათდამი ნდობა, თანდათან, ქრება. საერთოდ, მედია, უკვე, ხალხის თვალში როგორც ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის პროპაგანდისტული დანამატი, განყოფილება, ისე ითვლება. ობიექტურ მედიას ძალიან უჭირს. ერთი მხრივ, ადამიანების



# ასეთი ჟურნალისტები – მედიატერორისტები, თვითონ კლავენ ჟურნალისტიკას

## რასაც „ნაცმოძრაობა“ აკეთებს, ამას ნეკროფილია ჰქვია



დამუნათება, ცილისწამება, ტალახის სროლა, გინება მიუღებელია, მეორე მხრივ, ეს ჟურნალისტის, როგორც პროფესიის, დისკრედიტაციას იწვევს.

**— უკუღმა გააზრებულ სიტყვის თავისუფლებას ვინმემ ხომ უნდა „უშველოს“?**

— დიახ, ზღვარი უნდა გაივლოს უწმაწურობას, მიუღებლობას, საზოგადოებრივი მორალის წითელი ხაზების გადაბიჯებასა და ჟურნალისტიკას შორის. რა თქმა უნდა, ჟურნალისტს შეუძლია ნებისმიერი კითხვა დასვას. თუ ეს შეურაცხმყოფელი შინაარსის იქნება, ასევე, შეიძლება, პასუხიც ანალოგიური მიიღოს. მაგალითად, როცა ადამიანთან მიდიან და ეუბნებიან: შენ პუტინისტი, სამშობლოს მოღალატე ხარ, რუსეთიდან ფინანსდებიო. ეს ხომ შეურაცხყოფა, ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედება და მორალური დარტყმის მიყენებაა. ასეთ შემთხვევაში, რესპონდენტმა, შეიძლება, ასევე, უხეშად უპასუხოს. მაგალითად, მან შეიძლება უთხრას: იცით რა, მე, მაქვს ინფორმაცია, რომ თქვენ, ხართ ბოზი და პანელზე დგახართ და აქვე, პირდაპირ, უხეშად ჰკითხოს: ხომ ვერ მეტყვით, საათში რამდენს იღებთო? ეს კითხვა, მოეწონება იმ ჟურნალისტს? — მაგრამ ეს პასუხი ისეთივე დაუშვებელია, როგორც ის კითხვა, რაც მოგახსენეთ. ამაზე, ხომ უნდა დაფიქრდნენ. ან ხომ შეიძლება შეურაცხყოფილმა რესპონდენტმა მამაკაც ჟურნალისტს ჰკითხოს: მე, ვიცი, რომ თქვენ, მამათმავალი ხართ, ვინ არის თქვენი საყვარელი მამაკაციო? აქედან გამომდინარე, ქმედება იწვევს უკუქმედებას. რაც კითხვაა, ძალიან მალე, პასუხებიც იგივე იქნება. თუ ამ პოლიტიკური პარტიის იდეოლოგებს, რომლებიც საკუთარ თავს ჟურნალისტებს ეძახიან, ასეთი ლანძღვა-გინება სურთ, კი ბატონო, საქმე შეიძლება აქამდეც მივიდეს, მაგრამ ეს იქნება ჟურნალისტიკის როგორც პროფესიის სიკვდილი. კორესპონდენტი და რესპონდენტი ერთმანეთს უნდა ეხანჯლაონ?! ეს, უკვე, ჟურნალისტიკის სფეროდან გასვლაა, რაც ძალიან ცუდია.

**— ხელისუფლების მიმართაც არაერთი შეურაცხმყოფელი სიტყვები ისმის. ხელისუფალთ აქვთ თმენის ვალდებულება, მაგრამ ზღვარი ხომ არსებობს?**

— ვინ თქვა, რომ მხოლოდ ხელისუფლებას აქვს თმენის ვალდებულება?! ეს ყველა საჯარო პირს მოეთხოვება. ჟურნალისტებიც საჯარო პირები არიან. კი ბატონო, ხელი არ უნდა შეახონ და ცემატყეპა მიუღებელია, მაგრამ როგორც შეურაცხყოფასაც სხვას აყენებენ, ანალოგიურს მიიღებენ მისგანაც. ამ მხრივ, ისინი დაცულნი არ არიან და არც უნდა იყვნენ.

**— 5 ივლისის მოვლენების მერე არასამთავრობოები, უცხო ქვეყნების ელჩები ლგბტ-ს უფლებებს იცავდნენ. რატომ არავინ იცავს მეორე მხარეს?**

— ჟურნალისტები მოძალადეების დასჯას კი არა მოითხოვენ, არამედ ამ ადამიანების გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს ვინც კი, თუნდაც, მშვიდობიანად პროტესტი გამოხატაო. დიახ, ეს ადამიანებიც უნდა დაისაჯონო — აცხადებენ. გესმით, რა ხდება?! — გამოხატვის თავისუფლების ეგიდით ცდილობენ სწორედ მის შეზღუდვას. მათ გამოხატვის თავისუფლება, მხოლოდ, თავისთვის უნდათ. ამიტომაც თქვა სააკაშვილმა — ყველანი ციხეში, არავითარი დანდობაო. ყველანი ციხეში — ამ ლოზუნგს პირნათლად ასრულებდნენ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. ახლა, სურთ, იგივე ოპოზიციაში ყოფნისას გააკეთონ. მათი იდეოლოგიური ფრონტის ჟურნალისტებიც ამას მოითხოვენ — ყველანი ციხეში. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქარავას ექსპერტიზისას მათივე ექსპერტმა განაცხადა: შეუძლებელია ოპერატორი ცემის შედეგად გარდაცვლილიყოო, მაინც გაიძახიან: ქუცაში გამოსულმა ხალხმა მოკლაო, მის უკან კი, ხელისუფლებას გულისხმობენ. ხელისუფლებამ მოკლა ლექსო ლაშქარავაო, ეს აქვთ დროშად აფარებული. ანუ, მათ ხომ გვამებზე ძალიან დიდი მოთხოვნილება აქვთ. მერაბიშვილის გამოთქმა გავიხსენოთ: ორი გვამი მჭირდება. მათ სჭირდებათ ეს გვამები — სარალიძის, შაქარაშვილის, ბაჩალიაშვილის, მაჩალიკაშვილის და ა.შ. გახმაურებული მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა, ყველა შემთხვევაზე ეცადნენ, თავიანთი პოლიტიკური დივიდენდები მიეღოთ და კამპანია ეწარმოებინათ. ასევე, ია კერძაიაზე, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლების ერთი თვის თავზე გარდაიცვალა. ესენი ამბობენ: მთავრობამ მოკლა, ანერვიულაო. სრულიად ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენებია. რასაც „ნაცები“ აკეთებენ, ამას ნეკროფილია ჰქვია. ოღონდ, გვამი იყოს და ამ საცოდავი ადამიანების ცხედრებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. თავიანთი ხელისუფლების დროს უამრავი გვამები დატოვეს და ამის გამო კომპლექსი აქვთ — უნდათ მკვლელობა ახალ ხელისუფლებას დაბრალდეს, რათა მათკენ ხელი ველარ გაიშვირონ. ეს არის მიზანი.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# კონტრაბანდა

## საქართველოში ყალბი დასავლური აქციზით დამოწმებული რუსული პოლიტიკური „ტავარი“ შემოდის

გიორგი (ჯუნიორ) ვაშაძემ, თავის თავს აღმაშენებელს რომ უწოდებს, ამასწინათ დიდი „შუმოკი“ ატეხა — სიგარეტის კონტრაბანდამ წალეკა საქართველო, ჩვენი ბიუჯეტი მილიარდობით ლარს კარგავს და კონტრაბანდის წინააღმდეგ ზომები უნდა გამკაცრდესო.

ვიღაცებმა წაუგველეს: — ჯუნიორს ბიუჯეტის ზარალი კი არა, მისი ახლო ნათესავის ზარალი ადარდებს, რომელიც თამბაქოს ბიზნესშიაო.

სიგარეტის კონტრაბანდაზე რომ ლაპარაკობს, ბატონი ჯუნიორი, რა თქმა უნდა, აფხაზურ სიგარეტს გულისხმობს, რომელიც ენგურს გაღმიდან შემოდის.

ჯუნიორს რომ ჰკითხო, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და აფხა-




ზეთი მისთვისაც, რა თქმა უნდა, საქართველოა.

ვსვამ კითხვას არამარტო ამ ერთი ჯუნიორის, არამედ სხვა ჯუნიორების მიმართაც: თუ აფხაზეთი საქართველოა, რატომ არის აფხაზეთიდან შემოტანილი სიგარეტი ან ნებისმიერი სხვა საქონელი, კონტრაბანდა?

როცა ამას ვაკეთებთ, საკუთარ თავს ხომ არ ვეწინააღმდეგებით ჩვენ და როცა ვამბობთ, რომ აფხაზეთიდან შემოტანილი საქონელი კონტრაბანდაა, ამით პირდაპირ თუ ირიბად, ხომ არ ვაღიარებთ, რომ აფხაზეთი დიახაც რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

●

ამ თემაზე რომ ვლაპარაკობთ, მყისვე ერგნეთის ბაზრობის სამწუხარო ისტორია გაგახსენდება.

ერგნეთის ბაზრობამ დროის მცირე მონაკვეთში შეძლო ის, რაც წლების განმავლობაში ვერ შეძლო გაერომ, ევროკავშირმა, აშშ-ის ადმინისტრაციამ, სხვადასხვა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ერთმანეთს მტრად მოკიდებული ადამიანები შერიგდნენ.

როგორც კი პოლიტიკოსები განზე გადგნენ, აი, ამ უბრალო ადამიანებმა, ქართველებმა და ოსებმა, შეძლეს აღედგინათ ურთიერთობის ის ნორმები, რითაც ისინი საუკუნეების მანძილზე ახერხებდნენ გვერდიგვერდ ეცხოვრათ, ეშრომათ, შვილები აღეზარდათ, მაგრამ უცებ მოვიდა ახალი ხელისუფლება, „ნაცმოძრაობა“ და ამ ადამიანებს ჩიტის ბუდესავით წვალებით ნაშენები ეს ურთიერთობა ერთბაშად დაულეწა და მიუნგრ-მოუნგრია — კონტრაბანდის წყაროა ერგნეთის ბაზრობა და უნდა განადგურდესო.

გაანადგურეს კიდევაც, თუმცა, როგორც ამბობენ, ამის შემდეგ ნაციონალები თვითონ ეზიდებოდნენ ტრაილერებით მათ მიერ კონტრაბანდად შერაცხულ საქონელს და დიდი ხეირიც ნახეს.

არადა, ერგნეთის ბაზრობა რომ არ დახურულიყო და მას უფრო ცივილიზებული, სამართლებრივად მოწესრიგებული ფორმები რომ მისცემოდა, დარწმუნებული ვარ, არც 2008 წლის აგვისტოს ომი მოხდებოდა, არც საქართველოს ტერიტორიის 20% დაიკარგებოდა, არც ათიათასობით ქართველს მოუწევდა საკუთარი სახლ-კარიდან აყრა.

რატომ, რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და ვის ინტერესებში შედიოდა, რომ ქართველებსა და ოსებს შორის შერიგების პროცესი არ გაგრძელებულიყო?

ვის ინტერესებში შედიოდა და იმ ძალების ინტერესებში, რომლებსაც საქართველო რუსეთთან მუდმივი კონფრონტაციის ობიექტად სჭირდებათ, ხოლო ოსებისა და ქართველების, აფხაზებისა და ქართველების შერიგება მთავარ საბაბს და მოტივს გამოაცლის რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ დაპირისპირებას.

ჩვენ არ უნდა შევრიგდეთ, ჩვენ ერთმანეთისთვის უცხოები უნდა ვიყოთ, ჩვენ ერთმანეთი უნდა გვძულდეს — აი, ეს განაჩენი გამოგვიტანეს ჩვენ, ქართველებს და აფხაზებს, ქართველებს და ოსებს და ამ განაჩენის გაპროტესტება ლამის სამშობლოს ღალატად ჩაგვეთვალოს.

სიძულვილის მავთულხლართები გვყოფს ჩვენ, სიკვდილის მდინარედ ქცეული ენგური ჩაგვიდის შუაში სისხლის ზოლივით და ერთმანეთთან მიახლოების საშუალებას არ გვაძლევს, ხოლო პოლიტიკოსებად წოდებული თვალთმაქცი და ფარისეველი ჯუნიორები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა დიდხანს, დიდხანს შენარჩუნდეს.

არადა, ამ ჯუნიორებს რომ ჰკითხო, ვითომ პატრიოტები არიან, ვითომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსდგენისთვის იკლავენ თავს, ვითომ ნატოში შედიან.

კვირა არ გავა, ხან ევროკავშირიდან, ხან ნატოდან, ხან აშშ-ის ადმინისტრაციიდან რომელიმე ჯგუფი არ ჩამოვიდეს.

მივლენ „ოსეთსა“ და საქართველოს შორის საზღვრად გავლებულ მავთულხლართებთან, ბინოკლებით დაათვალიერებენ რუსულ სამხედრო ბაზებს, ნწუ, ნწუო — თავს გადააქნევენ, ორიოდე სიტყვით კომენტარს გააკეთებენ და მიდიან.



ისინი მიდიან, მერე სხვები მოდიან, მერე ისინიც მიდიან და კვლავ სხვები მოდიან.

წლებია, ასე გრძელდება, „სასაზღვრო ზოლი“ კი ნელ-ნელა მოიწევს საქართველოს სიღრმისკენ.

ამასწინათ ევროკავშირის წევრი სამი სახელმწიფოს წარმომადგენელი გვეწვია.

ამათაც ტრადიციულად ჩამოყალიბებული რიტუალი შეასრულეს, ბინოკლებით გახედეს რუსულ ბაზებს, — არაო, ამ ქვეყანას ჩვენ სხვას ვერ დავუთმობთო, — განაცხადეს და წავიდნენ.

ქვეყნის დათმობა-არდათმობის საკითხი მაშინ გადაწყდა, როცა 2003 წელს პრორუსულმა ძალებმა ქვეყანაში ვარდების რევოლუცია მოახდინეს, რომელიც დასავლეთმა დემოკრატიისა და პროდასავლური ძალების გამარჯვებად გამოაცხადა.

საერთაშორისო დონეზე საყოველთაოდ „აღიარებულ ჭეშმარიტებას“ თავდაყირა ვაყენებ — „ვარდების რევოლუციას“ რუსული ვარდების რევოლუციას ვუწოდებ, ხოლო, ვინც ამ „რევოლუციის“ სათავეებთან იდგა, პრორუსულ ძალებად ვაცხადებ.

როგორი მკრეხელობაა, არა?

არადა, მკრეხელობა კი არა, სრული სიმართლეა, რომელიც ვარდების რევოლუციიდან სულ მცირე ხანში, ერთმანეთთან მჭიდროდ გადაბმული მრავალი საეჭვო ფრაგმენტის სახით გამჟღავნდა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომით, როგორც იტყვიან, საბოლოოდ დაესვა ბეჭედი.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, „ნაცმოძრაობის“ და მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მიღებული უკლებლივ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სფეროს ეხება, რუსეთის სასარგებლოდ და საქართველოს საზიანოდ არის მიღებული.

ეს არ არის ცალკეული შემთხვევები და ცალკეული ფაქტები, ეს არის ერთ სისტემაში ჩასმული, ერთი ჯაჭვის რგოლებით შეკრული მიზანმიმართული ქმედებები, დაწყებული სტრატეგიული ობიექტების რუსეთზე გასხვისებით, გაგრძელებული კოდორის ხეობასთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული იურიდიულ-სამართლებრივი ხასიათის მანიპულაციებით, 2008 წლის აგვისტოში განვითარებული პროვოკაციული მოვლენებით და შემდგომ ბლიცომით, რომელიც ომში მონაწილე ორივე მხარის მიერ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე ომს და ბოლოს: ევროსაბჭოზე მიღებული რეზოლუციით, სადაც ომის წამომწყებად ქართული სახელმწიფოა დასახელებული.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება, რომლის უგუნურმა, ავანტურისტულმა და პროვოკაციულმა ქმედებებმა განუზომლად დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ უნდა გადამდგარიყო, უფრო მეტიც, უნდა გასამართლებულიყო, თუმცა ამის ნაცვლად, „ნაცმოძრაობა“ კიდევ 4 წელი იყო ხელისუფლებაში, ხოლო სააკაშვილმა 2013 წლამდე იპრეზიდენტა და ეს ყველაფერი, რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ ეს, დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე არავის ეპარება ეჭვი, „ნაცმოძრაობა“ და მისი ლიდერი პრორუსული ძალაა და ამის დასამტკიცებლად უამრავი კონკრეტული ფაქტი არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში დასავლეთი ღიად ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ ის, რასაც „ნაცმოძრაობა“ და მისი ლიდერი აკეთებს, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, ევროპარლამენტში თუ ამერიკის კონგრესში მაინც აქტიურობენ პოლიტიკური ჯგუფები თუ პოლიტიკოსები, რომლებიც ამ აშკარად პრორუსულ ძალას, „ნაცმოძრაობას“, ლობირებენ, რითაც მოხერხებულად სარგებლობენ ნაციონალები და ამ ცალკეული ჯგუფების მოსაზრებებს მთლიანად საქართველოს მეგობარი ქვეყნების და სტრატეგიული პარტნიორების საერთო პოზიციად ასაღებენ და ამით ხელისუფლებასაც და ქართველ ხალხსაც აშანტაჟებენ.



როდის უნდა დამთავრდეს ეს ამაზრზენი დემაგოგია, როდის უნდა დაიწმინდოს ეს ხელოვნურად ამღვრეული და ამტუტებული სიტუაცია, როცა ადამიანებს უჭირთ გაარკვიონ, ვინ ვინ არის, როცა ერთმანეთშია აღრეული და აფუფხული სიცრუე და სიმართლე, როცა წმინდაწყლის რუსული აგენტურა პროდასავლურ ძალად არის მონათლული.

კონტრაბანდაზე ვსაუბრობდით ზემოთ...

უფრო დიდი კონტრაბანდა შეიძლება არსებობდეს, ვიდრე ყალბი დასავლური აქციზით დამოწმებული რუსული პოლიტიკური „ტავარი“, რომელსაც დემოკრატიული სახელმწიფოების გავლით საქართველოში ეზიდებიან და როგორც დასავლურ პროდუქციას, ისე ყიდიან?

**ვახტანგ ხარჩილავა**









# დაწყებულია ეშმაკების აჯანყება საქართველოს დასამხობად

ამ დღეებში ერთი წელი შესრულდა გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალებიდან.

იმ მზესავით ბიჭის, მთელი საქართველო რომ დაამწუხრა, გლოვაც რომ არ აცალეს მთელ ქვეყანას და მის უბედურ მშობლებს ქვეყანაში ჩაბუდებულმა არამზადებმა და აქციების ტალღა რომ ააგორეს საკუთარი ინტერესებისთვის.

აქციების მიზეზად დაასახელეს — გიორგი შაქარაშვილის სიკვდილში ბიძინა ივანიშვილის ვაჟი ბერა ივანიშვილია გარეულიო.

მანამდე დავით სარალიძის ტრაგედიის კვლავ თავიანთ სასარგებლოდ გამოსაყენებლად, ხელში ჩაიგდეს უბედურებისგან თავგზააბნეული მამა ზაზა სარალიძე, მისი შვილის გარდაცვალებაში მთავრობის წევრის ვაჟია დამნაშავეო და აქციების ამ ხერხით



აგორება სცადეს.

მერე ბედგამწარებული თამარ ბაჩალიაშვილის სახელი მიაბეს „ქართულ ოცნებას“.

ერთმა მოჟურნალისტო პროვოკატორმა ისიც კი თქვა: თამარ ბაჩალიაშვილის თვითმკვლელობა ბიძინა ივანიშვილის ბრალია, გარდაცვლილ გოგონას თავი კი არ მოუკლავს, ბიძინა ივანიშვილის და ბიტკოინების მაქინაციას შესწირა მავანმაო.

მანამდე იყო გავრილოვის ამბები, პოზნერის ისტორია და ა. შ. დაუსრულებლად — ბიძინა ივანიშვილი და ჩვენი არჩევანი აქვთ ყელში გაჩხერილი, ვერ ინელებენ 2012-ს.

ახლა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები ლგბტ პრაიდს დაუკავშირეს.

ცხადია, ყველა ეს კამპანია გარედან იყო მართული და რაოდენ სამწუხაროა, რომ მართულები „ჟურნალისტები“ აღმოჩნდნენ.

ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს წოდება ჟურნალისტი, რადგან ჟურნალისტების რევოლუცია არ არსებობს, არ არსებულა და არც შეიძლება არსებობდეს. ჟურნალისტის პროფესია ითვალისწინებს საზოგადოებისთვის ინფორმაციების და ფაქტების განსჯის ტირაჟირებას და არა რევოლუციებს, გადატრიალებას და ჯანყს.

სწორედ რომ გასაოცარი და შემაძრწუნებელი მოვლენების მომსწრე გავხდით — აქციებზე გამოდიოდნენ პრივილეგირებული, გავლენებით და ფულით ყელში ამოსული, გაყვიყვინებული ადამიანები — პირადი დაცვის თანხლებით, ძვირადღირებული ავტომობილებით, ნაჭამ-ნასვამი, უმაღლეს მოდაზე ჩაცმულ-დახურულები, ათასობით ლარის ხელფასებით გაზვინულები და მოუწოდებენ ეპიდემიებისგან, ეკონომიური პრობლემებისგან და მუდმივი დაძაბულობით არაქათგამოცდილ ხალხს მთავრობის დამხობისკენ...

პარადოქსია, არა?

ამაზე მეტად ტრაგიკული და ამასთანავე კომიკური კიდევ რა უნდა იყოს?!

გვამებით მოვაჭრეთა, გვამებით მანიპულირების ინიციატორთა, გვამებზე დაგეშილთა რევოლუცია შეშლილ საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს მხოლოდ.

კბილებით უჭირავს მთავრობას ქვეყნის სტაბილიზაცია და ჰა და ჰა, როდის გადავეშვებით გაურკვეველ მომავალში, ამაზე არიან მიდარაჯებული ეს ვითომ ჟურნალისტები, სინამდვილეში, ეშმაკთან წილნაყარ არამზადათა კასტა, რომლებმაც, მათდა საუბედუროდ, ისიც არ იციან, რომ ამ საშინელ „თამაშში“ მხოლოდ პაიკები არიან და თავი კიტრად კი მოაქვთ.

დავუშვათ, მოხდა საშინელება და დაამხეს ეს ხელისუფლება. აი, მერე დაიწყება თუ დაიწყება — ადგილების გადანაწილებისთვის დაუნდობელი ბრძოლა, მკვლელობები და დაჭერები.

მათ ამ უშნო და ამაზრზენ ფაფხურს რომ მთავრობის გადადგომა მოჰყვეს და მიშიკოს მთავრობა კვლავ დაბრუნდეს, რას ფიქრობენ ეს ბრიყვი ე.წ. ჟურნალისტები — ვინმე მათ გაიხსენებს, თანამდებობებს და პრივილეგიებს მისცემს, ან მადლობას ეტყვის? ეს არის აბსურდი და ეს არის ბავშვური გულუბრყვილობა. რევოლუცია ჭამს თავის შვილებსო, ტყუილი არაა. რევოლუციის მომწყობებს ან კლავენ, ან იჭერენ, ან ქვეყნიდან აძევებენ. ასე რომ, სულ ტყუილად გაჰკივიან ტრიბუნიდან გრიგოლია, გვარამია, სანაია, კილაძე და მისთანანი. ამ საბრალოებს მეტი ჭკუა რომ ჰქონდეთ, მათ ამჟამინდელ მშვიდ და ეკონომიურად უზრუნველ ყოფა-ცხოვრებას ამჯობინებდნენ, მაგრამ ამას რომ ხვდებოდნენ, აჯანყებას არ მოინდომებდნენ. თავიანთ პროფესიას მიხედავდნენ და სასარგებლო საქმეს გააკეთებდნენ ქვეყნისთვის, მაგრამ ადამიანი ცხოვრებაში რომ უტვინოა — ჭუტას, კეზერას, მიშას და ბიძამისის დაკრულზე რომ იყვირებს და „იცეკვებს“, ის რანაირი პროფესიონალია, გთხოვთ, თავად განსაჯეთ, მეგობრებო...

ყველაფერთან ერთად, მართლაც დიდად სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა. მის საბრალო დედას ხომ არ მისცეს მოსვენება — სახლთან დარაჯობით, ისედაც დათრგუნული გულის და სულის უფრო გამწარებით ათასნაირი მახინჯი დეზინფორმაციული ვერსიების მიწოდებით და ღია ზეწოლით, რომელსაც ესენი ბულინგს უწოდებენ. ესეც არ იკმარეს და ამჯერად, უკვე მერამდენედ, ქართული ეკლესიისკენ გაიშვირეს ხელი და მკვლელად და დებოშის წამქეზებლად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გამოაცხადეს — ლგბტ პრაიდის ჩატარების მომხრე რომ არ იყო ქრისტიანული ეკლესია, ამიტომ გაქეზდნენ ვიღაცები და სცემეს ლექსოსო.

ეს ყველაფერი, ასე თუ ისე, გავიგეთ, მაგრამ ის არის ჩემთვის გამოცანა, ვინ, რა კატეგორიის, რა სარწმუნოების, რა ეროვნების ადამიანები უჭერენ მხარს ამ ბოდვას და გონიერებას სრულიად მოკლებულ, სამარცხვინო ეგზალტაციას, რომ ეკლესია არის საქართველოს, ეროვნულობის, ქართველების მტერი, ხოლო ესენი არიან პატრიოტები და, არიქა, ახლა, მივიდეთ და დავდგეთ მთავრობის სახლის წინ აქციაზე იმ ხალხთან, რომლებმაც გასულ თვეებში იქ ე.წ. „თეთრი ხმაურის“ აქცია მოაწყო, ნარკოტიკების ლეგალიზებას ითხოვდა, 9 აპრილის მემორიალის თავზე ცეკვა-თამაში გამართა და შარდით და განავლით წაბილწა იქაურობაო...

თურმე საქართველოს ეკლესია არის მოძალადე, ის უნდა დაემხოს და აღზევდნენ ეს ეგრეთ წოდებულები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ადამიანის უფლებებისთვის და თავისუფლებებისთვის იბრძვიან, რომლებიც თურმე ჩვენს ეკლესიაზე უფრო მორწმუნეები არიან, როგორც პაპზე მეტად კათოლიკენი...

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე ცნობს ათ ურყევ პოსტულატს, ათ მცნებას, რომელიც ამბობს:

„მ ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე“.

სად არის ამ ე.წ. მოჯანყეთა ღმერთი?

მათი ღმერთი ფული, ფუფუნება და კეთილდღეობაა. ასე რომ არ იყოს და მათ ქრისსტე და წმინდა სამება სწამდეთ, არ დაიყენებდნენ გვერდით მწვალებლური სექტის, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს რუსუდან გოცირიძეს, არ დაიწყებდნენ მხცოვანი პატრიარქის წყევლას და არ გამოთქვამდნენ მისი დაპატიმრების სურვილს.

მეორე მცნება კი ამბობს: „არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი“...

თავისი თავის განმადიდებლები, ამპარტავნები არიან ის ე.წ. ჟურნალისტები, რომლებიც საკუთარ თავს განსაკუთრებულ კასტად მიიჩნევენ და რომ იტყვიან, ცხვირის წვერზე ბუზს არ იჯენენ — დანარჩენებს ბნელებს და ჩამორჩენილებს გვეძახიან და თითს გვიქნევენ — აბა, ვინმემ გაბედეთ ჩვენი შეწინააღმდეგებაო.

მესამე მცნება — „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ“...

მამის და დედის, წინაპრების პატივისმცემლებს რომელი ჰგვანან, თავიანთი მიწის, სამშობლოს ტკივილი რომ აწუხებდეთ, დესტაბილიზაციას, რევოლუციას, ჯანყს და გადატრიალებას არ მოინდომებდნენ და რუსთაველზე, იუნკრების საფლავზე მუშტებმოღერებული არ იჯლიგინებდნენ

„არა კაც ჰკლაო“, — რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანს ხმლით აკუწავ, ორმოში ჩააგდებ, ყულფს წაუჭერ თუ სიტყვით მოკლავ?! მკვლელობაში ეჭვმიტანილ სააკაშვილს, ბოკერიას, კეზერაშვილს, ჭუტა წერეთელს რომ ეთაყვანები, მას რომ უმაგრებ მხარს, შენც მკვლელი გამოდიხარ.

„არა იმრუშოო“, — ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — პრაიდის მხარდამჭერები ყოველდღე ეთერებიდან სიტყვით მრუშები, მდიდარი სექსის მოყვარულები და ა. შ. და ა. შ. ბლომად მოიპოვება მათ შორის.

„არა იპაროო“, — ძარცვით ნაშოვნი ფულით დაფუძნებული ტელევიზიების რევოლუციონერი ჟურნალისტები ნაპარავ და ნაგლეჯ ფულს რომ იჯიბავენ, ავტომატურად ქურდების თანამზრახველები გამოდიან.

გიგი უგულავას, ნიკა გვარამიას, კოდუას ნაცოლარ ნანუკას, გრიგოლიას და სხვებს ფული ოფლისღვრით შეძენილი პატიოსანი შრომით რომ არ უშოვიათ, ეს არ არის ახალი ამბავი.

„არა ცილის სწამოო“, — მეტს აღარ გავაგრძელებ, რადგან უკვე ირონიამდე მიდის ამ უბადრუკების სამარცხვინო ფაფხური ტელეეკრანებიდან და ე.წ. აქციებიდან.

ეხ, მეგობრებო, ცას კიბე აკლია, ზღვას ხიდი და დედამიწას სამართალიო, ისეა ჩვენი საქმე.

10 მცნების დამრღვევები, ქრისტეს მტრები, ანუ ეშმაკები გვიწყობენ გადატრიალებას ჩვენ, ქართულ საზოგადოებას და არა ხელისუფლებას, რომელსაც არაერთხელ მისცა ხმა არჩევნებში ამ ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობამ.

ყველა ქმედებით მართლმადიდებლობის მტრები, პატრიარქის მაგინებლები, წინაპრების შეურაცხმყოფელნი, ტრადიციების უარმყოფელები, ეშმაკები და გვამების მოყვარულები შემოგვესივნენ უფრო დიდი ეშმაკის დავალებით, ეს მართლა ბნელები და სიბნელის მოციქულები, რომელთა ქმედებებიდან ცხადია, რომ სწორედ რეგრესს, არეულობას, უკანსვლას აპირებენ და არ უნდა დავუთმოთ ქვეყანა!..

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# ომი და მშვიდობა

## ავღანეთში სამოქალაქო ომია, ტოკიოში ოლიმპიური თამაშები დაიწყო

უშედეგო აღმოჩნდა ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამართული შეხვედრა ავღანეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებსა და თალიბანს შორის. ქვეყანაში სამოქალაქო ომი და ხელისუფლებისთვის ბრძოლა გრძელდება. ანალიტიკოსების შეფასებით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ომის შეწყვეტას ვინ ჩივის, დროებითი ზავის მიღწევაც შეუძლებელია. გასულ კვირას მუსლიმანური სამყარო ერთ-ერთ დიდ დღესასწაულს — ყურბან-ბაირამს აღნიშნავდა. ზეიმთან დაკავშირებული ლოცვის დროს ქაბულში სამთავრობო რეზიდენციიდან 300 მეტრის მოშორებით მეჩეთთან აფეთქების ხმა გაისმა. დაჭრილია ათამდე მორწმუნე, საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა მსოფლიოში აკრძალულმა ორგანიზაციამ, ე.წ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო თავზე.




ავღანეთის ხელისუფლება მცდელობას არ აკლებს დედაქალაქში უსაფრთხოების ზომების დაცვას. ქაბულში გამოცხადებულია და მოქმედებს კომენდანტის საათი. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში, მათ შორის, დედაქალაქში, ურთულესი ვითარებაა შექმნილი. თალიბანის მებრძოლები თითქმის მთლიანად აკონტროლებენ ქვეყნის საზღვრებს, მათ დაიკავეს ბევრი დიდი ქალაქი. ქაბული ალყაშია მოქცეული. თალიბებმა რამდენჯერმე სცადეს დედაქალაქის დაკავება, მაგრამ სამთავრობო ჯარებმა შეძლეს შეტევების მოგერიება. უფრო მეტიც, კონტრშეტევაზეც გადავიდნენ, უმნიშვნელოდ წაიწიეს წინ, თალიბების სამი ასეულის განადგურებაც შეძლეს, მაგრამ ვითარება შესამჩნევად არ გაუმჯობესებულა.

ფეთქებადსაშიში ვითარება ავღანეთში ახლა არ შექმნილა. ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს კოალიციური ჯარების ავღანეთში ყოფნის დროს, როდესაც თალიბანს უკვე დამარცხებულად მიიჩნევდნენ, იმ დროს დაიწყეს ქვეყანაში შესვლა სხვადასხვა საეჭვო წარმომავლობის პირებმა. სირიაში „იგილის“ განადგურების შემდეგ, მსოფლიოს და მათ შორის ამერიკელ სამხედრო ექსპერტთა ნაწილი ამტკიცებდა, რომ გადარჩენილ მებრძოლთა შენაერთებმა ავღანეთში გადაინაცვლესო. თუმცა 2017–18 წლებში მათი გაფრთხილებისთვის პოლიტიკოსებს ყურადღება არ მიუქცევიათ. ახლა, კოალიციური ჯარების ქვეყნიდან გასვლის შემდეგ თვალნათლივ გამოჩნდა — ავღანეთი გავსებული ყოფილა საერთაშორისო ტერორისტებით. ანალიტიკოსების აზრით, ადვილი შესაძლებელია, აზიის ეს ქვეყანა საერთაშორისო ტერორიზმის ცენტრად გადაიქცეს. წინაპირობა უკვე გამოჩნდა — „იგილი“ აწყობს ტერაქტებს ქვეყანაში, რითიც საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო.

სამოქალაქო ომი ავღანეთში დროში უსასრულოდ გაიწელება, თუ გარე ძალები რომელიმე მხარეს არ დაეხმარებიან, აცხადებენ ექსპერტები და მიზეზებსაც ასახელებენ. თალიბანს პრობლემა შეექმნა ცოცხალ ძალებში. მაისის თვიდან მოყოლებული, მსოფლიოში ტერორისტულად აღიარებულმა ორგანიზაციამ დღემდე 10 ათასზე მეტი მებრძოლი დაკარგა ბრძოლებში. არც სამხედრო საქმის მცოდნეების ყოლით აქვთ სატრაბახო. სამთავრობო ჯარებს თანამედროვე შეიარაღების დეფიციტი აქვთ. მოძველებული ავიაციით, ანუ პროპერელიანი თვითმფრინავებით თალიბანის წინააღმდეგ ბრძოლა არაეფექტურია — მარტივი ხელის ტყვიამფრქვევითაც იოლია მათი ჩამოგდება. ამიტომაც ავღანეთში გაურკვეველი სიტუაციაა. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოება (მათ შორის, პრესაც) თითქმის არ აქცევს ყურადღებას ავღანეთში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებას. საბრძოლო მოქმედებები ადვილი შესაძლებელია, გასცდეს ავღანეთის საზღვრებს და ომის ხანძარი საერთოდ რეგიონს და მეზობელ ქვეყნებსაც გადაედოს.



მოსაზღვრე ქვეყნები შეშფოთებით ადევნებენ თვალს და აკვირდებიან ავღანეთში მიმდინარე მოვლენებს, განსაკუთრებით ტაჯიკეთი. თალიბანის მოსკოვში დადებულ პირობას არ დაარღვევენ რუსეთის მოკავშირე ქვეყნების საზღვრებს არ ენდობიან. მით უფრო, როდესაც ავღანეთში „იგილის“ მებრძოლები ტერაქტებს ახორციელებენ. ამიტომ რუსეთმა გაგზავნა დამატებით მძიმე ტექნიკა ტაჯიკეთში არსებულ მათ 201-ე სამხედრო ბაზაზე, ჩაატარეს ერთობლივი წვრთნები ტაჯიკეთის არმიასთან ერთად ავღანეთის სასაზღვრო ზონის ახლოს. ტაჯიკეთის არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი მთელი ქვეყნის მასშტაბით. ტაჯიკეთის პრეზიდენტის ემამლი რახმონის განცხადებით, „...რაც ახლა ავღანეთში ხდება, გარეშე ძალების მიერ არის პროვოცირებული... ჩვენ არ გამოვიყენებთ სამხედრო ძალებს მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ, ვიდრე ჩვენს ქვეყანას არ დაემუქრება საფრთხე“.

გაუსაძლის მდგომარეობაშია ადგილობრივი მოსახლეობა. ვინც არ ემორჩილება თალიბების მიერ დაწესებულ „კანონებს“, სასტიკად უსწორდებიან. გასულ კვირას ყანდაგარის პროვინციებში მოსახლეობის მასობრივი მკვლელობები ჩაიდინეს თალიბებმა. განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებიან მათ, ვინც კოალიციურ ჯარებთან თანამშრომლობდა ნებისმიერ სფეროში. ასეთი უკვე 350 ადამიანია სიკვდილით დასჯილი ოჯახის წევრებთან ერთად. ყოფილი თანამშრომლების ევაკუაციას აშშ არ ჩქარობს. „...კოალიციური ჯარების ავღანეთში ყოფნისას ამერიკელები რეალურად არ იბრძოდნენ, ისინი, ფაქტობრივად, ორმაგ თამაშს ეწეოდნენ. მათ მხოლოდ ფულის გაკეთება უნდოდათ“, — განაცხადა ერთ-ერთმა დევნილმა, რომელიც კოალიციურ ჯარებთან თარჯიმანი იყო. ტაჯიკეთი იძულებული გახდა, დაიწყოს 100 ათასი დევნილისთვის ბანაკის მშენებლობა. სამამოსოდ უკვე ქვეყნის ბიუჯეტიდან თანხები გამოყოფილია, თუმცა რეალურად რამდენი ადამიანი მოითხოვს თავშესაფარს მარტო ტაჯიკეთში, უცნობია.

დოჰაში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად, გასულ კვირას თალიბანმა ახალი ულტიმატუმი წამოაყენა — პრეზიდენტისა და მთავრობის სრული შემადგენლობით გადადგომა. ვისთან და რაზე აპირებენ მომავალში დიალოგს, გაუგებარია. ანალიტიკოსების შეფასებით, თალიბანთან შეუძლებელია მოლაპარაკება, რადგან ნებისმიერ შეთანხმებას იოლად დაარღვევენ.

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, გასულ კვირას სტარტი აიღო მსოფლიოს მთავარმა სპორტულმა ღონისძიებამ — ტოკიოს ზაფხულის 32-ე ოლიმპიურმა თამაშებმა.

ამომავალი მზის ქვეყანა უკვე მეოთხედ მასპინძლობს დიდ სპორტულ ფორუმს. 1964 წელს ტოკიოს ზაფხულის, ხოლო 1972 წელს საპოროს და 1998 წელს ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. 1964 წელს ტოკიოში ერთბაშად ორი ლეგენდარული და სახელოვანი ქართველი ფალავანი „დაჩაგრეს“ მსაჯებმა — რომან რურუა და გურამ სადღარაძე. ორივე მოჭიდავეს ფინალური ორთაბრძოლისას რეფერებმა კუთვნილი ქულები არ მისცეს (რომან რურუას ერთბაშად 3), ამიტომ მათ ფრედ დაამთავრეს შეხვედრები და „მხოლოდ“ ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

რიგით 32-ე ოლიმპიური თამაშები, მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ შარშან უნდა გამართულიყო, მაგრამ კოვიდპანდემიამ იძულებული გახადა ორგანიზატორები, თამაშები ერთი წლით გადაედოთ. თუმცა წლეულსაც სათუო იყო ოლიმპიადის ჩატარება იგივე მიზეზით. თამაშების გახსნის ოფიციალური ცერემონიის დაწყებამდე ჯერ კიდევ ვარაუდობდნენ, რომ 32-ე თამაშები ან კვლავ გადაიდებოდა, ან ჩაშლილად გამოცხადდებოდა. იაპონიის ხელისუფლებამ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ყველაფერი გააკეთეს, რათა 32-ე ოლიმპიური თამაშები შემდგარიყო. თუმცა იაპონიის მაცხოვრებლები გაზაფხულიდან მოყოლებული საპროტესტო აქციებს აწყობდნენ თამაშების ჩატარების წინააღმდეგ.

განსხვავებულად მიმდინარეობს წლევანდელი ოლიმპიური თამაშები. ოფიციალურად გახსნის ცერემონიალს სპორტსმენების გარდა მხოლოდ 950 სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის მეუღლე ჯილი... საპატიო სტუმრად იყო მიწვეული იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სინძო აბე, მაგრამ მან უარი თქვა ღონისძიებაზე მისვლაზე და ამით სოლიდარობა გამოუცხადა მოსახლეობას. მიმდინარე თამაშებზე ყველა სპორტული შეჯიბრება, მათ შორის გახსნა-დახურვის ცერემონიალები, პანდების გამო მაყურებლის გარეშე ტარდება. 32-ე ოლიმპიური თამაშები გახსნილად იაპონიის იმპერატორმა ნარუჰიტომ გამოაცხადა. ოლიმპიური თამაშების დაწყებით სიხარულს ვერ მალავდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი, რომელიც 1976 წელს თავად გახდა ჩემპიონი.

პირველად ხდება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, რომ ყველა შეჯიბრება მაყურებლის გარეშე მიმდინარეობს. პირველად დართეს ნება ტრანსგენდერებს ასპარეზობაში მონაწილეობისა (ერთ-ერთი ყოფილი კაცი, რომელმაც სქესი შეიცვალა, ახლა ქალ ძალოსანთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას).

სიმკაცრეა ოლიმპიურ სოფელში. სპორტსმენებს და დელეგაციების წევრებს ეკრძალებათ ტერიტორიის დატოვება, ქალაქში გასეირნება. ამიტომაც ჟურნალისტებმა მიმდინარე ოლიმპიადას „ყველაზე ჩაკეტილი, დახურული თამაშები“ შეარქვეს.



გია ბურდული
551 71 27 07

# პალმის ფოთლების ბიბლიოთეკა, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გაიგოს ვინ იყო წარსულში და რა ელოდება მომავალში

ამბობენ, 5 000 წლის წინ ძველმა ინდოელმა ასტროლოგებმა პალმის ფოთლებზე ჩაწერეს წინასწარმეტყველებები დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანებისათვის. ეს ჩანაწერები ამჟამად ინდოეთის ხუთ დიდ ტაძარში ინახება. ლეგენდის მიხედვით, ბრძენმა ბჰრიგუმ ინფორმაცია აკაშას ქრონიკებიდან – დედამიწის ენერგო-ინფორმაციული ველიდან აიღო. ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადამიანი თუ მიმართავს ბჰრიგუ-შასტრის, გაეცნობა საკუთარი ცხოვრების აღწერას-პალმის ფოთლის ერთ მხარეს წარსულია, მეორე მხარეს – მომავალი. პალმის ფოთლები სიგრძეში ოცდაათი სანტიმეტრია, სიგანეში – ხუთი. თითო ფოთოლზე ერთი ადამიანის ცხოვრებაა აღწერილი.



ტექსტი დაწერილია ძველ ტამილურ ენაზე, ამიტომ ჰოროსკოპს კითხულობენ თარჯიმანის დახმარებით. ითვლება, რომ როდესაც ადამიანი განვითარების იმ დონეს მიაღწევს, რომ გაიგებს ამ პალმის ფოთლების ტექსტს, მას გზა ხსნილი აქვს-შეუძლია გაეცნოს საკუთარ ბედისწერას და მიღებული ცოდნა სამომავლოდ გაითვალისწინოს. ამჟამად ბევრმა მოგზაურმა მოინახულა ეს ტაძრები და სხვადასხვა ბლოგებზე აღწერენ ამ საოცრებას. ძალიან საინტერესო ჩანაწერებია სოციალურ ქსელში. ძირითადად ყვებიან, თუ როგორი შოკი განიცადეს, როცა დეტალებში მოისმინეს საკუთარი ცხოვრება, მთელი ინფორმაცია წინა ინკარნაციებზე, აუცილებელ ქმედებებზე, რომ ნეგატიური კარმა გაანეიტრალო, ოჯახზე, შვილებზე, კარიერაზე, სულიერ განვითარებაზე...

ინდოეთში ასევე, არსებობს ასტროლოგიური ბიბლიოთეკა ნადი. ნადი ძველ ტამილურ ენაზე ნიშნავს დანიშნულებას. პალმის საცავი ძირითადად ინდოეთში მდებარეობს, მაგრამ ნაწილი შრი-ლანკაშიცაა. სამყაროს ისტორია შესაქმედან მოყოლებული დატეულია პალმის ფოთლებისგან შემდგარ 3665 ტომში. თითეულ მათგანში დევს 365 ფირფიტისგან შექმნილი ბარათი. ნადი-ასტროლოგია გახლავთ ჯოთიშის ცალკე მიმართულება. თავისთავად ჯოთიში ცნობილია როგორც ინდური ასტროლოგია. რეალურად ესაა მეცნიერება სინათლის არსზე, მის წარმოქმნაზე, სიბნელესთან ურთიერთობაზე და იმ კანონზომიერებებზე, რომელიც მათი ურთიერთობის შედეგად ჩნდება. ეს მეცნიერება მოიცავს არა მხოლოდ ასტროლოგიას, ნუმეროლოგიას, ქირომანტიას, არამედ წარსულის, აწმყოს და მომავლის ამოცნობის სხვა მეთოდებსაც, მაგ. ადამიანის გარეგნობით და სუნთქვითაც კი. დაახლოებით შვიდი ათასი წლის წინ, დედამიწაზე ცხოვრობდა ნახევრად ღმერთი, შვიდი ბრძენი-რიში. მათ ჩაიწერეს იმ ადამიანთა ცხოვრების გზა, ვინც ოდესღაც მოვიდოდა ამ ბიბლიოთეკაში საკუთარი მომავლის გასაგებად. ნათქვამია, რომ მოვლენ მხოლოდ ის ადამიანები, ვინც სულიერი განვითარებით საკმაოდ მაღალ საფეხურზე არიან ასულნი. გადმოცემით, ხუთი ათას წელზე მეტი ხნის წინ დიდ ინდოელ ბრძენსა და ასტროლოგ რიში ბჰრიგუს დაერთო ნება ენახა წარსული და მომავალი კაცობრიობის მთელი თაობებისა, რომელიც ინახება სამყაროს მეხსიერებაში. ის მეთოდურად შეუდგა შეუფასებელი ცოდნის შეგროვებასა და ჩაწერას. ცოდნა იზრდებოდა და საკუთარი ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლოს ნადის ასტროლოგიური სწავლების საფუძლის ჩამყრელმა შეაგროვა და განათავსა ოთხმოციათასზე მეტი ხელნაწერი პალმის ფოთლებზე. ასე გაჩნდა ბჰრიგუ სამჰიტა-ბედის ბიბლიოთეკა, სადაც აღწერილია ყველა ადამიანის ცხოვრება, ვინც კი დედამიწაზე მოვლენილა სამყაროს შექმნის დღიდან, ვინც მომავალში დაიბადება და მათი გარდასახვების ჯაჭვი. სანსკრიტზე დაწერილი ტექსტები ითარგმნა ძველ-ტამილურ ენაზე და ჩაიწერა გამომშრალ, სპეციალურად დამუშავებულ და გაპრიალებულ პალმის ფოთლებზე. როცა ფოთლები ცვდება, ტექსტები ახალ ფოთლებზე გადააქვთ. ინდოეთში პალმის ფოთლების ბიბლიოთეკა განსაკუთრებული საცავია. პალმის ბიბლიოთეკის წმინდა ტექსტების სიბრძნეს, არსებობის მრავალი ათასი წლის განმავლობაში, ბევრი ინდოელი მოაზროვნე, მოგვიანებით კი დასავლური სამყაროს მკვლევარები მიმართავდნენ იმ იმედით, რომ წინასწარმეტყველებაში აღმოაჩენდნენ კანონზომიერებას.



ნადის სკოლის ასტროლოგებმა შეძლეს შეედგინათ ჩვენი ცივილიზაციის საოცრად დეტალური მომავლის წინასწარმეტყველებები, რომელიც უკვე სრულდება. ამ საიდუმლოებით მოცულ ბიბლიოთეკას განაგებენ ადამიანები, რომლებიც ფლობენ წინასწარმეტყველების უძველეს ინდურ ხელოვნებას. არსებობს ვალუვართა სექტა, რომელიც სპეციალიზირებულია ასტროლოგიაზე. სწორედ ამ სექტის წევრები ინახავენ ამ ფირფიტებს და შეუძლიათ მათი წაკითხვა. ისინი თაობიდან თაობას გადასცემენ ნადი-წაკითხვის ცოდნას და მის განმარტებას. ფირფიტების ბიბლიოთეკიდან წაღება აკრძალულია. ბიბლიოთეკაში ადამიანთა ბედის შესახებ ინფორმაციას საფუძვლად უდევს ცნობილი აკაშა ქრონიკა. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ბიბლიოთეკა არსებობს ინდოეთსა და შრი-ლანკაში, სადაც დაინტერესებული პირები მიდიან მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენების, თუნდაც ქორწინების ბედის გასარკვევად. სპეციალური რიტუალების საშუალებით მიმდინარეობს პალმის ფოთლების ძიება. შედეგს უკითხავენ ვიზიტორს. ევროპელებს აოცებს ჰოროსკოპები, რომელიც შესრულებულია ნადის სისტემით. ასეთი კოლექცია სამხრეთ ინდოეთში ატარებს ნადი-გრანტჰას სახელს, ხოლო ჩრდილოეთ ინდოეთში-ბჰრიგუ-სამჰიტას სახელს. პალმის ფოთლებზე რკინის კალმით დაწერილი ქრონიკების, ძირითადი ნაწილი შედგება თორმეტი ფირფიტისგან. არის ასევე დამატებითი ფირფიტები წარსულ ცხოვრებაზე, ასევე რისი გაკეთებაა საჭირო, რომ შეიცვალოს მდგომარეობა. ამას გარდა, არსებობს რამდენიმე დამატებითი განყოფილება, რომელიც პასუხს აგებს ცხოვრების ამა თუ იმ მხარეზე-ჯანმრთელობა, ფინანსები, სურვილები, ოჯახი, შვილები.

თუმცა ბევრი განყოფილება დახურულია მანამდე, სანამ ვიზიტორი არ შეასრულებს ძირითადი ამოცანების პირობებს. ამ ფირფიტებს ეწოდება კანდამები. ბედისწერის ფირფიტებზე მითითებულია ადამიანის მახინჯი მხარეები, რომელიც ხელს უშლის თვითრეალიზაციაში. მოცემულია ყველაზე აქტუალური პრობლემები, რაც აფერხებს მას და რასაც ყველაზე მეტად განიცდის. ფირფიტებზე ჩაწერილია მთელი კაცობრიობის მომავალი და არა მარტო... მითითებულია წარსული ინკარნაციების ყველა დეტალი (ვინ იყო ადამიანი წინა ცხოვრებაში, სად ცხოვრობდა და რანაირად ცხოვრობდა). ერთი ვერსიით, ბიბლიოთეკაში შენახულია წინასწარმეტყველება წარსულში, აწმყოსა და მომავალში მცხოვრებ ყველა ადამიანზე რეინკარნაციის ჩათვლით. მეორე ვერსიით, ბიბლიოთეკაში შენახულია მონაცემები მხოლოდ იმათზე, ვინც აუცილებლად ესტუმრება ბიბლიოთეკას.

გამოდის, ბრძენმა ასტროლოგმა 5000 წელზე მეტი ხნის წინ იცოდა ყველაფერი ასეთ ადამიანებზე. იმაზეც კი, ვინც ამ ადგილს ესტუმრებოდა. ფირფიტები განაწილებულია ინდოეთის ხუთ ტაძარში. ბედისწერის წასაკითხად წინასწარ, სამი თვით ადრე ეწერებიან. ვიზიტის მსურველმა უნდა დატოვოს დაბადების ზუსტი თარიღი და ადგილი, რათა მასთან შესახვედრად მოემზადოს ბედისწერის წამკითხავი. მომავლის წაკითხვა ხშირად 2-4 საათი გრძელდება. ზოგი ევროპელი წერს, რომ მათი ფირფიტა იპოვეს საცავში. ამ ფირფიტაზე ნამდვილად მათი ცხოვრება იყო აღწერილი. ამავე დროს, ამბობენ, რომ მათთვის განკუთვნილ ფირფიტასთან მისვლა შეუძლიათ მხოლოდ განსაზღვრულ დროს-კონკრეტულ დროს. წამკითხავები ეუბნებიან ყველაზე ფარულ ცხოვრებისეულ წვრილმანებს. როგორც ჩანს, ყველაფერი წინასწარ ყოფილა განჭვრეტილი 5000 წლის წინ.

ხანდახან ნადი-წამკითხავმა შეიძლება ვიზიტორს მოსთხოვოს რამდენიმე დღის, თვის, კვირის, თვის შემდეგ მისვლა, შესაფერისი დროის გათვალისწინებით. ეს მაშინ ხდება, როცა ფირფიტების ნაკრების წაკითხვა შესაძლებელია მხოლოდ პლანეტების სხვა განლაგების დროს. ინდუსები თვლიან, რომ ინფორმაცია ბედისწერაზე ეხმარება ადამიანს ჩაწვდეს მისი დედამიწაზე ცხოვრების აზრს.







**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# დედილო მერკელი



ანგელა მერკელი ბევრჯერ იყო მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალების სიის სათავეში. ის უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში ყველაზე პოპულარულ პოლიტიკოსად მიაჩნიათ გერმანიაში. მერკელის სავიზიტო ბარათი მოკრძალებულობაა, რაც არამკვეთრ გარეგნობაში, შეუმჩნეველ მაკიაჟსა და თავშეკავებულ გარდერობში გამოიხატება. მიუხედავად მაღალი ხელფასისა, გერმანიის კანცლერი პატარა ბინაში ცხოვრობს და პროდუქტებზეც თვითონ დადის...

სახლი ნომერი ექვსი. ანგელა მერკელი სამსახურთან — ბერლინში ფედერალური კანცლერის უწყებასთან, ახლოს ცხოვრობს, მდინარე შპრეეს სანაპიროს ამ კუპფენგრაბენის ქუჩის ექვს ნომერში, ჩვეულებრივი ხუთსართულიანი სახლში. ეს სამსახურებრივი საცხოვრებელი არ არის, მერკელი აქ ჯერ კიდევ მანამდე დასახლდა, ვიდრე გერმანიის მთავრობას ჩაუდგებოდა სათავეში.



ანგელას წინამორბედი კანცლერის პოსტზე გერხარდ შრედერი სამსახურებრივ შენობაში ცხოვრობდა, რომლის ფართობიც 200 კვ მ იყო. მერკელმა კი გადაწყვიტა თავის ბერლინის ბინაში დარჩენილიყო, რამაც გერმანელების აღფრთოვანება და პატივისცემა გამოიწვია.

ყოველდღე მერკელის სახლთან პოლიციელები მორიგეობენ, მაგრამ ქუჩას არასოდეს კეტავენ და არც ბარიერებს დგამენ. სადარბაზოს კარზე, ზართან წარწერაა „პროფესორი იოახიმ ზაუერი“ — ეს მერკელის ქმარია.

ადგილობრივმა ჟურნალისტებმა და ბლოგერებმა არაერთი გამოძიება ჩაატარეს, რათა გაეგოთ, ჰქონდა თუ არა მერკელს ბერლინის ბინის გარდა სხვა უძრავი ქონება — კანცლერს იმდენი შემოსავალი აქვს, რომ მას ძვირადღირებული საცხოვრებლის შეძენა ნამდვილად შეუძლია. როგორც მასობრივი ინფორმაციის გერმანული საშუალებები წერენ, მერკელის წლიური შემოსავალი 300 ათას ევროს შეადგენს, მაგრამ ფუფუნების სიყვარულში მისი მხილება მაინც ვერ შეძლეს.

მათ მხოლოს იმის გამორკვევა შეძლეს, რომ პოლიტიკოსს აგარაკი აქვს. ქალაქგარეთ რეზიდენციას მას ვერ უწოდებ — ეს პატარა სოფლის სახლია, რომელიც ბერლინიდან ასი კილომეტრის დაშორებით, სოფელ ხოენფალდთან მდებარეობს ბრანდერბურგის ქალაქ ტემპლინთან. იქ მეუღლეები დასვენების დღეებს ატარებენ.

მერკელს ძალიან უყვარს სტუმრების გამასპინძლება მის მიერ მომზადებული კერძებით, ზოგჯერ იმ ბოსტნეულითაც, რომელიც თავის ბოსტანში მოჰყავს. მერკელის გარემოცვაში ამბობენ, რომ განსაკუთრებით გემრიელ ვაშლის ნამცხვარსა და კარტოფილის სუპს ამზადებს.

საბჭოთა პერიოდის ჩვევები. პროდუქტების შესაძენად მერკელი თვითონ დადის რამდენიმე მცველის თანხლებით. სოციალურ ქსელში გამოჩნდა ფოტოები, სადაც პოლიტიკოსი ჩვეულებრივ სუპერმარკეტში დადის ურიკით და ყიდულობს ხაჭოს, ბოსტნეულს, ხილსა და ტკბილეულს. როგორც სხვა პრაქტიკული გერმანელები, საყიდლებზე ისიც თავისი ჩანთით დადის.

მერკელმა ერთხელ აღიარა, რომ გდრ-ის დროიდან საბჭოთა ჩვევები შემორჩა. მაგალითად, გერმანიის გაერთიანების შემდეგაც სუპერმარკეტს უნივერსამს ეძახდა, უყვარდა მწვადი, ლეჩო და „სალიანკა“.

იმის გამო, რომ დიდი ხნის განმავლობაში დეფიციტის პირობებში ცხოვრობდა, იმ ნივთებსაც კი ყიდულობდა, რომლებიც, შესაძლოა, იმ დროს სულაც არ სჭირდებოდა. ნაცვლად პოლიტიკოსი პიტნის ჩაის სვამს. ჩანთით, მობილურის გარდა, ატარებს სათვალეს, ბლოკნოტს, ფანქარს და საპუდრეს. ახალგაზრდობაში ბევრს ეწეოდა, მაგრამ მოგვიანებით ამ ჩვევაზე უარი თქვა.

ძვირადღირებული კურორტების ნაცვლად, ანგელა მერკელი მეუღლესთან ერთად შვებულებას მთებში მოკრძალებულ სასტუმროში ატარებს. ისინი არჩევენ სასტუმროს სამხრეთ ტიროლში, სადაც ორადგილიანი ნომერი ღამეში 200 ევრო ღირს. აივნიდან ყველაზე მაღალი მთა ორტლერი მოჩანს...

მერკელს ისტორიული წიგნების კითხვა და ფეხით ლაშქრობა უყვარს. გზაში მას კეპი ახურავს, აცვია უჯრედულა პერანგი, ზურგზე ზურგჩანთა აქვს მოკიდებული და ხელში ტრეკინგის ჯოხები უკავია. როგორც ჟურნალისტებმა დაადგინეს, მოგზაურობისთვის სამოსს მერკელი დიდი ენთუზიაზმით არ არჩევს. 2013 წლიდან მოყოლებული, სკანდინავიური სიარულის დროს მას ერთი და იგივე პერანგი და შარვალი აცვია.

„დედილო მერკელი“. ანგელა არასოდეს გამოირჩეოდა ორიგინალური იდეებით, დასამახსოვრებელი იმიჯით და არასოდეს ყოფილა გამორჩენილი ორატორი. გერმანელებს მოსწონთ, რომ ის მომხიბვლელია, როგორც ჩვეულებრივი გერმანელი ქალი, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომ **Volksvagen Golf**-ით გადაადგილდება, ქალაქგარეთ ბოსტნეული მოჰყავს და კარგი მზარეულია. ამის გამო მას „დედილო მერკელი“ შეარქვეს. მერკელს ხშირად იწვევენ კულინარიულ ტელეგადაცემებში, სადაც საყვარელი კერძების რეცეპტებს უზიარებს ტელემაყურებელს.



ბევრს მიაჩნია, რომ ანგელას ლიდერის თვისებები არ გააჩნია, ძალიან რბილი ხასიათი აქვს და შეუმჩნეველია, მაგრამ ცდებიან. კანცლერი პროვოკაციულ განცხადებებს არ აკეთებს, დებატებში მონაწილეობის დროს ლოგიკურად, ირონიულად და საკმაოდ მშრალად პასუხობს. ბევრი ადანაშაულებს, რომ სიმტკიცეს არის მოკლებული, მაგრამ, ამასთან, გერმანელებს ის უყვართ, როგორც ეფექტური მმართველი, რომელსაც ყველა სიტუაციიდან შეუძლია გამოსავლის პოვნა.

პოლიტტექნოლოგები თავს იმტვრევდნენ, რათა ამოეცნოთ კანცლერის წარმატების საიდუმლო. შედეგად, ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მისი კოზირი შეუმჩნეველი გარეგნობა და ქარიზმის არქონაა. პოლიტიკოსი არ ატარებს სამკაულებს, არ უყვარს ძვირფასეულობა და არ იყენებს სუნამოს. მისი ჩვეულებრივი სამოსი სხვადასხვა ფერის მკაცრი კოსტიუმებია. ჩვეულებრივ, ეს ბლაიზერია, რომელიც სამ-ოთხ ღილზე იკვრება და შარვალი. მერკელის კოლექციაშია ყველა ტონის მწვანე, ლურჯი, ყვითელი და იასამნისფერი ფერის სამოსია.

მთავარი ოჯახში. პირადი ცხოვრების შესახებ კანცლერი არ საუბრობს. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ პირველად ანგელა უნივერსიტეტში სწავლის დროს გათხოვდა. ქორწინება ხუთ წელს გაგრძელდა, სწორედ იქიდან შემორჩა ახლანდელი გვარი მერკელი. ბავშვები არც მაშინ ჰყოლია და არც შემდეგ.

იოახიმ ზაუერი ანგელა მერკელმა გდრ-ის მეცნიერებათა აკადემიაში 80-იან წლებში გაიცნო. ზაუერი მსოფლიო სახელის მქონე მკვლევარია. ოჯახის მეგობრები ამტკიცებენ, რომ მათ ოჯახში მთავარი მაინც იოახიმია.

ის კვანტური ქიმიის სპეციალისტი და ბერლინის ჰუმვოლტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორია და ჩრდილში ყოფნა უყვარს, მაგრამ ყოველთვის ახლავს მეუღლეს ოფიციალური ვიზიტების დროს და ცდილობს, თავი აარიდოს ზეიმებს. იოახიმი ცოლის არცერთ ინაუგურაციას არ დასწრებია. გამონაკლისი მხოლოდ კულტურული ღონისძიებებია და იმედოვნებს, რომ მალე ისინი უფრო მეტი დროის ერთად გატარებას შეძლებენ.

26 სექტემბერს გერმანიაში არჩევნები ჩატარდება, რის შემდეგაც ცნობილი გახდება, ვის აირჩევენ გერმანიის კანცლერად. ანგელა მერკელი არამხოლოდ მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელის პოსტს ტოვებს, არამედ პოლიტიკიდანაც მიდის.

გერმანელები მას პატივსს სცემენ იმის გამო, რომ მას უმაღლესი თანამდებობა სილამაზისა და მომხიბვლელობის გამო არ დაუკავებია. ანგელა მერკელი არასოდეს ყოფილა გარეული სკანდალებში, თანამდებობას ისე უყურებდა, როგორც სამუშაოს, ძალაუფლებას კი — როგორც ინსტრუმენტს და არა როგორც პრივილეგიას.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99